№ 50

კვირა, 10 აპრილი

1877—1905

№ 50

კვირა, 10 აპრილი

ივერია

გაზეთის ფასი დამატებით: წლიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ.-ადრესი: Тиф., Ред. „Иверіа".

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია".

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა"**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

ხელის ფასი: 1 აპრილიდან წლის დამლევამდის 7 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверіа".

განცხადება.

ძმ. თამამშევების ქარვასლის ვაჭრები

ამით საყოველთაოდ აცხადებენ, რომ ამა 1905 წ. 24 მარტიდან (გასულ ორშაბათიდან) **ვაჭრობა იწყება დილის რვა საათზე და თავდება საღამოს 6 საათზე**. ამასთანავე, დადგენილია ყველასათვის სავალდებულოდ **შემდეგი წეს-რიგი**: ვაჭრობა სწარმოებს ულაპარაკოდ, ფასის აუწევ დაუწევლად და, გარდა ამისა, აკრძალულია მუშტრების დაძახება-შეხმობა მაღაზიებში.

თუ ვინიცობაა ამ ყველასათვის სავალდებულო წესრიგს ვინმე დაარღვევს, უმორჩილესად ეთხოვთ პატივცემულ მუშტრებს, დაუყოვნებლივ აცნობონ ამის შესახებ თამამშევის ქარვასლის ვაჭრებს ბ-ნთ **ს. ი. ფორაქაშვილსა და ს. გ. ფარეშოვს**, რომელნიც არჩეულნი არიან ქარვასლის ვაჭართაგან.

(5—5)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟუჟუნაძე. კბილის—8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა 9½—10½ ს.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ღამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საზებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ქ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა 12½ 1½ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაჩნაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო ნომერი — 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი —9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აჯემისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საზებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. **წლ.**

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8 საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

მშრომელთა უფლება.

ადამიანის გონება რაღაც ომგვარად არის მოწყობილი, რომ ერთი და იგივე მოვლენა ერთ შემთხვევაში სრულიად ბუნებრივად მიაჩნია და მეორე შემთხვევაში კი საკვირვლად და საოცრად ეჩვენება.

შეხვალთ მაღაზიაში, მოითხოვთ რაიმე საქონელს: ვაჭარი დაგიფასებთ, თქვენ თქვენს ფასს შეაძლევთ და, თუ ვერ მორიგდით, სხვაგან წახვალთ ან იმ საქონლის ყიდვაზე სულ ხელს აიღებთ. თქვენ არ გიკვირთ საქონლის დაფასება ვაჭრის მხრით, არც მას უკვირს ნაკლები ფასის შეძლევა თქვენგნით და თავის თავად საგულისხმოდ მიგვაჩნია ყველას, ვაჭარი მუშტარს ევაჭრებოდეს და მუშტარი კიდევ ვაჭარს თავის ფასსა და პირობას უდებდეს. ერთიცა და მეორეც თავისუფალ ადამიანებად არიან აღიარებულნი და ამიტომ ერთსაცა და მეორესაც თავისუფლად შეუძლიანთ თავისი ფასი და ყიდვის პირობები წარუდგინონ ერთმანეთს.

მაგრამ ბევრს ასევე ბუნებრივ და თავის თავად საგულისხმო მოვლენად არ მიაჩნია, როცა მუშა თავის მოთხოვნილებებს აცხადებს, დამქირავებელს თავის პირობებს უდგენს და, თუ ვერ მოურიგდა, მუშაობაზე ხელს იღებს. აქ იღვიძებს კლასობრივი ინსტიქტები, და ის, რაც ჩვეულებრივ „ლიბერალს" პირველ შემთხვევაში სრულიად კანონიერ ვითარებად მიაჩნდა, აქ „უკანონობად" და „ბუნტად" ეჩვენება...

ცხადია, ის, რაც ერთისთვის უფლება და კანონიერებაა, ასეთივე უფლება უნდა იყოს მეორისთვისაც. ამას მოითხოვს პრინციპი თავისუფლებისა და თანასწორობისა. ძველი დრო წასულია, ბატონ-ყმობა გადავარდა, ძველებური პირადი დამოკიდებულება მოსპობილია. ახალი მოქალაქობრივი ცხოვრება აღიარებს შრომის თავისუფლებას და ამიტომ არც არავის აქვს უფლება მშრომელს ძალა დაატანოს და მისი ნების წინააღმდეგ ამუშაოს ისეთ პირობებში, რომელიც მას არ მოსწონს ან თავისთვის საზარალოდ მიაჩნია.

თანამედროვე წარმოება ნაქირავებ შრომაზეა დაფუძნებული. მუშა და მუშის დამქირავებელი, ბურჟუაზიულსავე კანონმდებლობაში გატარებულ პრინციპების ძალით, ერთმანეთის წინ დგანან, ვითარცა—იურიდიულად—თავისუფალი ადამიანები. ერთსაცა და მეორესაც აქვს უფლება დაიცვას თავისი ინტერესები და წარუდგინოს მეორეს ამ ინტერესების გამომხატველი პირობები. კლასობრივ ანტაგონიზმისა და წინააღმდეგობის არ დანახვა და უარყოფა დღეს მხოლოდ უვიცს შეუძლია. ვინც ცოტად თუ ბევრად თვალ-ხილეული არის,—იძულებულია, ცხოვრების რეალური მოვლენა რეალურადვე დაინახოს, და თუ იგი საზოგადო მოქალაქობრივ უფლებათა უარმყოფელი და ბატონ-ყმობის მოტრფიალე არაა,—ყველასთვის თანასწორი უფლება უნდა სცნოს და შეუვალად აღიაროს.

არავის უკვირს, როცა ვაჭარ-მრეწველები კავშირს ადგენენ, საქონლის წარმოებისა და გაყიდვის საერთო პირობებს აწესებენ და ამგვარად თავისს ეკონომიურ ინტერესებს იცავენ. კავშირი და ერთობა ძალას აძლევს მათ და ამ ძალის საშუალებით შეძლება ეძლევათ მშრომელ ხალხზე მეტი გავლენა მოიპოვონ და შრომის პირობები არ გააუმჯობესონ

თუ კავშირი და კლასობრივი ერთობა სასარგებლოა საზოგადოების ისედაც ღონიერ ნაწილისათვის, მით უფრო საჭირო და სასარგებლო უნდა იყოს იგი მუშებისათვის. მუშა, რომელსაც მხოლოდ თავის ძალ-ღონით შეუძლიან ლუკმა-პური მოიპოვოს, არ არის ნამდვილად ისე თავისუფალი, როგორც ახალ კანონმდებლობის განყენებულ პრინციპითაა აღიარებული. სიმშილი მას ხშირად ძალას ატანს ისეთ ქირას დასჯერდეს და ისეთ პირობებს დაყაბულდეს, რომელიც მას ცარიელ პურით თავის გამოკვების საშუალებასაც კი არ აძლევს. იგი უძლურია, სანამ ცალკე და განკერძოებულად სდგას დამქირავებლის წინ. მას ცალკე არავითარ საშუალებით არ შეუძლიან მწარმოებელი აიძულოს და მისთვის უფრო ხელსაყრელი პირობები მიაღებინოს. არ შეუძლიან, რადგან მეორე წუთში ასობით და ათასობით გამოჩნდებიან მასავით მშივრები, რომლებიც ყოველგვარს წინადადებაზე დასთანხმდებიან და მუშაობას იკისრებენ. ამიტომ მშრომელთ ნამდვილად მხოლოდ მაშინ შეუძლიანთ დაიცვან თავისი ინტერესები, როცა შეკავშირებისა და მუშაობისათვის თავის დანებების უფლება აქვთ მინიჭებული, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში არის შესაძლებელი მოწინააღმდეგე ჯგუფს საეკონომიო მოქმედებაზე გავლენა მოპოვება და წარმოებაში მშრომელთა ინტერესების გატარება. გაფიცვას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი და მნიშვნელობა, მაშინ მოაქვს ნაყოფი და სარგებლობა, როცა მშრომელი ხალხი გათვითცნობიერებული და შეკავშირებულია; მაშინ არ ახლავს კლასობრივ ბრძოლას სისხლი და მსხვერპლი, როცა მშრომელთა შეკავშირებისა და ერთად მოქმედების უფლება იურიდიულად ცნობილი და აღიარებულია.

დღეს არც ერთ კულტურულ სახელმწიფოში ეს უფლება საკამათოდ და საეჭვოდ აღარ ითვლება. ყველგან დაწესებულია და კანონმდებლობითაც უზრუნველყოფილი, რომ მუშა ხალხს უფლება აქვს კლასობრივი კავშირი შეადგინოს, როცა საჭიროდ დაინახავს, გაიფიცოს კიდეც და მრეწველთა კლასს თავისი მოთხოვნილებანი და პირობები წარუდგინოს. რასაკვირველია, ასეთი თავისუფლება ერთსა და ორს დღეში არ მოუპოვებიათ მშრომელთ ევროპაში და, საზოგადოდ, ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში. იყო დრო, როცა იქაც სასტიკად სჯიდნენ გაფიცულებს, —„ბუნტოვჩიკებად" სთვლიდნენ და მეთაურებს საპყრობილეებში ალპობდნენ. მაგრამ ღატაკთა და უძლურთა კლასმა ბოლოს მაინც თავისი უფლება მოიპოვა და კავშირისა და გაფიცვის თავისუფლება საზოგადოებაში საეკონომიო ურთიერთობის ქვაკუთხედად აქცია.

სამწუხაროდ, ამ „თავისუფლებას" ჩვენამდის ჯერ კიდევ არ მოუღწევია. მაგრამ, იმედია, შორს აღარ არის ის დრო, როცა ჩვენშიაც სამართლიანობა გაიმარჯვებს და დღე-დღეზე მოსალოდნელ განახლებულ ცხოვრებაში მშრომელთა ინტერესების უზრუნველყოფა მკვიდრ გარანტიას მიიღებს...

* * *

სოფლის გამოფხიზლება

(წერილი სამეგრელოდან).

მკითხველი ადრევე მიხვდება, თუ საიდან დავიწყებ წერილს სამეგრელოს შესახებ. მან უკვე იცის, რომ ამჟამად ხალხის გამოფხიზლება, საერთო მოძრაობა გამხდარა კორესპონდენტთა ჩვეულებრივ ტემად, და შესაძლებელია მან ჩემი წერილი ათასჯერ თქმულის განმეორებად მიიღოს, წაკითხვის ღირსიც არ გაგვხადოს; მაგრამ მე მაინც ჩემსას ვერ დავიშლი და კალამს ვიღებ ხელში, რომ, შეძლების დაგვარად, ანგარიში გავუწიო იმას, რაც ჩემს გარეშემო ხდება.

დიაღ, სამეგრელოც ამოძრავდა, ამანაც ზურგი შეაქცია ყოველსავე უჯეროს, დახავსებულს და პირი ახლისაკენ იბრუნა. აქ საკვირველიც არა არის-რა. სამეგრელო რომ საერთო მოძრაობის გარეშე დარჩენილიყო, ის განსაკუთრებულს პირობებში უნდა ყოფილიყო ჩაყენებული, ე. ი. აქ ხალხი იმდენად შეუგნებელი უნდა ყოფილიყო, რომ მას ვერ ეგრძნო უკიდურესი ეკონომიური შევიწროება და პოლიტიკური უუფლებობა, ან ამგვარ შევიწროვებას აქ ადგილი არ უნდა ჰქონოდა. მაგრამ მეგრელებს სათქმელი სხვაზე ბევრი დაურჩათ და მოძრაობაც აუცილებელი შეიქნა.

საერთო ინტერესების შეუგნებლობას მეგრელებს ვერავინ დასწამებს და ის ძალიან მაცხონე მოკეთეები, რომელთაც დიდი იმედი ჰქონდათ ამ შეუგნებლობისა, ჯერ კიდევ ორი წლის წინედ დამარცხდნენ სასკოლო საკითხში, როცა ყველგან სამეგრელოში ხალხმა ერთხმად გამოუცხადა უნდობლობა სკოლების არსებულს ტიპს. და თუ იმ ვაჟბატონებმა ეს მარცხი ვერ დაინახეს და მხოლოდ ამ დღეებში გაახილეს თვალები, როცა მთელ სამეგრელოში სკოლებს თითონ ხალხმა გამოუკეტა კარები, ეს იმ სიბნელის მოტრფიალეთა სიბეცის ბრალია და არა მეგრელთ შეუგნებლობისა.

რაც შეეხება ეკონომიურად შევიწროებას და ადამიანურ უფლებათა უარყოფას, პიროვნების აბუჩად აგდებას, ამ მხრივ მხოლოდ მეგრელების მოთმინება უნდა გვაოცებდეს და სხვა არაფერი. აქაც იგივე უმიწობაა, იგივე გამოფიტული ადგილები, აუტანელი საიჯარო ფასები, მძიმე სანადელო ვალი იმ განსხვავებით, რომ აქ კიდევ უფრო მეტი ეწევა ამ ვალს, ვიდრე გურიაში, მაგალითად, იგივე დაწიოკება გარდასახადების და ნედოიმკების აღების დროს, უსაზღვრო ხვრაძოვნა სოფლის ბურჟუა ჩარჩთაგან და წრეს გასული მადა ეკლესიის მსახურთა, იგივ უარყოფა ადამიანის ელემენტარულ უფლებათა იმ განსხვავებით, რომ ამ უუფლებობას აქ ერთვის სრული უარყოფა მეგრელთ ვინაობისა, რასაც სკოლებიდან სამ[illegible] მოჰყვა და აღზრდის სრული დამახინჯება.

როგორც მკითხველი ხედავს, აქ კიდევ მეტი შევიწროვება იყო, ვიდრე სხვაგან, ხოლო მეტი შევიწროვება, რა თქმა უნდა, მეტ უკმაყოფილებასაც იწვევს. მოთმინების ფიალა აივსო, საუკუნოების განმავლობაში მოგროვილი ნაღველი, ხალხის უკმაყოფილება მხოლოდ გამოსავალს ეძებდა, ასაფეთქებლად დამზადებული ნივთიერება ნაპერწკალს ელოდა და ეს ნაპერწკალიც გადმოვარდა. საიდან? გარედან მობერილია ყველა ეს, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, თუ თითონ ხალხის ცხოვრებაში უნდა ვეძებოთ უმთავრესად ყველა ამის მიზეზი?

პასუხს თითონ მეგრელები მოგცემენ. „ჩვენი შევიწროება სხვისაზე მეტი იყო, ჩვენ სხვაზე მეტი გვქონდა სათქმელი, მაგრამ მარტო ვიყავით და ხმის ამოღებას ვერ ვბედავდით. ახლა კი, როცა ყველამ ხმა აღიმაღლა, როცა ყოველ კუთხიდან ძმობას, ერთობას, სიყვარულს გვეფიცებიან,—მარტო აღარ ვართ, ჩვენც ხმას ვიღებთ, აღარ გვინდა, ჩვენი ოფლით სხვა გავახაროთ, ცოლშვილი კი სიმშილით გავამწაროთ, და სულს ნურავინ გვხდის იმის გამო, რომ ჩვენი თავი ადამიანებად აღვიარეთო",—გეტყვიან ისინი.

«ძმობა, ერთობა, სიყვარული» ცალიერი სიტყვებია, როცა ეს შინაარსს მოკლებულია, მაგრამ ეხლა ამან შინაარსი მოიპოვა, ამ სამმა სიტყვამ ძლიერად ჩამოჰკრა ათასი ვარამით განაწამებ ხალხის გულს და ყველა აალაპარაკა, აამოძრავა. მეგრელთა სასიქადულოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მოძრაობა აქ სტიქიური, შეუგნებელი არ არის; ხალხი არავითარ ძალმომრეობას არ ხმარობს, თუ მაინცადამაინც არ გააზვიადებენ და მიუტევებელ ცოდვად არ ჩაუთვლიან იმას, რომ მან ზურგი შეაქცია არსებულ ტიპს სკოლებისას, ზოგან სოფლის სამმართველოები დაწვა და სოფლის მწერალთა გონების ნაამაგარი ცეცხლს მისცა. სხვაგვარ ძალმომრეობას, ვისიმე სახლ-კარის გადაწვას, კაცის კვლას, მეზობლის ქონების აკლებას ორსავე მაზრაში ძლიერ ერიდებიან, ასე რომ ადგილობრივი ადმინისტრაციაც ვერ მიმხვდარა, მაგალითად, თუ რამ გამოიწვია სენაკის მაზრაში სამხედრო დებულების შემოღება. თვალ-ახილული ხალხი მხოლოდ დახავსებულ ცხოვრების განახლებას შეუდგა იმ საშუალებით, რაც ხელში ჰქონდა და ამ მხრივ მართლა რომ გასაოცარ ძალას იჩენს, დევის ნაბიჯით მიდის წინ და გზადაგზა ლეწავს ყველაფერს, რასაც სიძველის ბეჭედი აზის. ყოველი წამი მთელი წლის საქმეს აკეთებს- ყოველი დღე მთელ საუკუნედ ღირს. შური, მტრობა, ერთმანეთის გაუტანლობა დავიწყების კალათში გადისროლეს. ზევით მოყვანილი სამი სიტყვა რაღაც მომჯადოვებელ თილისმად გადაქცეულა, გუშინდელ მტრებს განუწყვეტელის ძმურის სიყვარულით აკავშირებს, აერთებს, ყველა აღფრთოვანებულია, ყველგან ფიცს სდებენ—არ უღალატონ საერთო საქმეს, ხალხის საქმეს, ყველას გული რაღაც იმედით სძგერს და აღტაცებით გეკითხება: ნეტავ, ადრე მოხდება?! დიდ ხანს გასტანს ასეთი ყოფა?!

ამაზე პასუხის მიცემა ისე ძნელია, როგორც აღმოსავლეთში ზავის შესახებ რისამე წინასწართქმა, ხოლო ამ ცოტა ხანში რომ ბევრი რამ მოხდა, ბევრი რამ გაკეთდა, ის კი ცხადია. ხალხმა ზურგი შეაქცია დროგადასულ დახავსებულ წყობილებას და იმედით აღსავსე ორივე ხელი განთიადისკენ გაუშვერია და, მე მგონია, ვერავითარი ჯოჯოხეთური ძალები ვერ შესძლებენ შერყეული ცხოვრების ძველ კალაპოტში ჩაყენებას, ვერ შეიძლებენ იმიტომ, რომ ხალხის შეხედულობა გამიცვალა, მისი ფსიხოლოგია ელვის სისწრაფით გადატრიალდა და გუშინდელი კერპის წინაშე ის მუხლს აღარ იყრის. რის მოსპობაც ათი-ათას მქადაგებლებს არ შეეძლო, იმას დღეს თითონ ხალხი ლეწავს უსიტყვოდ, უმოძღვრებოდ; რასაც ათი-ათასი მჭევრ-მეტყველი მქადაგებელი ვერ შეჰქმნიდა, იმას თითონ ხალხი ჰქმნის თავისთავად, სხვის დაუკითხავად. ქირს, ლხინს, დღეობას, ქელეხებს, დასაფლავების წესს, ქორწილს ფერი უცვალა და ახალი ცხოვრების შესაფერად მოაწყო; ყოველსავე სიდუხჭირეს ანდერძს უგებს და მის ნანგრევებზე ახლის საფუძველს ჰყრის.

ხალხი გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს საზოგადოების თითოეულს წევრს, ულმობელ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს თითოეულს მისს ნაბიჯს, ყველასაგან სასტიკად თხოულობს ზნეობრივ სიფაქიზეს, გონების სიფხიზლეს და, თუ ურიგობა რამ შენიშნა, თავის მსჯავრსა სდებს. ის თითონ ასამართლებს თავის თავს, თითონ უძღვება საკუთარ საქმეს, თავის საჭიროებას და, უნდა გითხრათ, ძლიერ კარგი ნაყოფიც გამოიღო ამ შინაურის საშუალებით გასამართლებამ, თავის თავის პატრონობამ. გუშინ თუ გროშის გულისთვის და ხშირად სულ უსაფუძვლო საჩივრით სასამართლოსკენ გარბოდნენ, სრულიად დარწმუნებული, რომ აბლაკატის დახმარებით თუ მოწმეების მოსყიდვით ფონს გავალ და სუსტს [illegible] ადვილად დავიჩაგრავო, დღეს სა[illegible] სოფლის მიერ არჩეულთად მიდის ვინმე და თვით ძვლიანის საჩივრითაც მოკრძალებით დიდად საფუძვლიანი და მოდავიდარაბე კაცის სახელი არ გვითქვა სოფლადაო. გუშინ თუ ალალი საქმის მოსაგებად აუარებელი ფული იხარჯებოდა, აუარებელ შრომასა და მოცდენას თხულობდა კანონიერად საქმის მოჭახრაკება, დღეს გროში არავის ეხარჯება, თითონ დაინტერესებული მოცილე მხარეებიც ხშირად არ ესწრებიან საქმის გარჩევას, სრულიად დაიმედებულნი, რომ სოფლისაგან არჩეული მოსამართლე ულვაშებს არ შეირცხვენს და უჯერო განაჩენს ვერ დასდებსო. წინად თუ ნაქურდალის ამოჩენა ძნელი იყო, დღეს თითქმის ქურდობაც შეუძლებელი გახდა, რადგან მთელი საზოგადოების თვალი საეჭვო პირებისკენ არის მიქცეული და რისამე დამალვა, გაძრომ-გამოძრომა, ქრთამითა და ნაცნობობით დანაშაულობის მიფუჩეჩება შეუძლებელი შეიქნა. ვინც ამჟამად სადმე სამეგრელოში ქურდის შესარცხვენად მოზღვავებულ ხალხს დააკვირდება, იმას, ეჭვიც არ შერჩება, რომ, არა თუ ქურდობას, არამედ ლოთობას, მრუშობას, ცილის წამებას ჰორიკანობას და სხვა ამგვარ ადამიანის ღირსების დამამცირებელ საქციელს სამუდამოდ თქვენი პირი წაუღია.

ერთის სიტყვით, ხალხი ზნეობრივად სპეტაკდება, სულიც მაღლდება; ყველა გაერთდა, წელში გაიმართა, ყველას გული განუწყვეტელის სიყვარულის ჯაჭვით გადაება ერთმანეთს; ხალხი, ოფლის მღვრელი და ტვირთ-მძიმე, დახავსებულ წყობილებასთან საბრძოლველად დაერაზმა და დროს უცდის.

ამ ერთობის წინაშე ყველამ მუხლი მოიყარა: ერი, ბერი, მღვდელი, აზნაური, თავადი ეშურება ძველი ცოდვების აღიარებას და საბრძოლველად გამოსულს ხალხს ერთობაზე ეფიცება. ამ ერთობის წყალობით არსებულ უფლება-პრივილეგიებსაც ბევრი მოხვდა და, თუ მუშაობა ასე წავიდა, ყველა ეს პრივილეგიები მხოლოდ ქაღალდზე დარჩება და ფეხ-ქვეშ ნიადაგი სულ გამოეცლება; გუშინ თუ კეთილშობილის სისხლი ძვირად ღირდა და აზნაურობის შესაძენად ყალბ საბუთებსაც კი მამასისხლად ყიდულობდნენ, ახლა თავის მაღალი ჩამომავლობით არავინ არ ყოყოჩობს და სიტყვით მაინც ძმობასა და ერთობას აღიარებს; გუშინ თუ გლეხი აზნაურს სოფლის სასამართლოში ვერ მიიყვანდა, დღეს თითონ თავად-აზნაურობა თხოულობს შინაურულად, მეზობლურად გასამართლებას და დიდად გულდაწყვეტილი რჩება, თუ ამაში უარი უთხრა ვინმემ. გუშინ თუ მღვდელი ან კეთილშობილი სასოფლო გზაზე მუშაობას თაკილობდა, დღეს მხოლოდ ის უკვირთ, გუშინ რად ვიყავით ასე უსამართლონი, რომ საერთო საქმის კეთებას მარტო გლეხებს ვახვევდით თავზეო; გუშინ თუ რომელიმე კაკარდოსან-ეპოლეტოსანის მეგობრობა დიდ ბედნიერებად მიაჩნდათ, დღეს ყველა ემალება ამგვარ მეგობრობას და რომელიმე თანამდებობის კაცის სახლში ქუდი რომ შეუგდო, გამოსატანად შესვლას მოერიდება.

რა თქმა უნდა, სოფლად კიდევ მოიპოვებიან ისეთი პირები, რომელთაც ცალი თვალი კიდევ ჯინჯილოსნებისკენ უჭირავთ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ისინი ძველებურად გაბედვით ვეღარ მოქმედებენ და ესეც დიდ საქმედ არის მისაჩნევი.

ერთის სიტყვით, ხალხმა თვალი გაახილა, გამოფხიზლდა, ყველა ერთის აზრით, ერთის მისწრაფებით გაიმსჭვალა და შევიწროვებულ უმეტესობის წელში გამართვა ყველას ახარებს, იმედით.

მარტო ბიუროკრატიას არ მოსწონს ეს და ამ გამოფხიზლებას სულ სხვა სახელით ნათლავს. ნეტავი რა დაემართა? აკი გუშინ გვეფიცებოდა, გვარწმუნებდა, რომ მე ხალხისთვის ვარ თავდადებული, იმის განათლებას, გამოფხიზლებას ვალევ ჩემს ძალღონესაო. თუ ასე იყო, რაღა ახლა შემფოთდა თვალ-ახელილ ხალხის დანახვაზე?

მან რაც უნდა სთქვას და მე კი პატარაობისას ნასწავლს კატის იგავი მაგონდება ამ შემთხვევისათვის.

კატამ სთქვა: ნეტავ პატრონი დამიბრმავაო.

— რადაო?

— ჯამს ყოველთვის მე ამოვუჭამდიო.

ახლა, მგონი, ბიუროკრატიაც ამბობს:

— ნეტავი ხალხი დამიბრმავაო.

— რადაო?

ამის პასუხი ისევ ბიუროკრატებმა მოგვცენ...

შუბნელი

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

8 აპრილი.

პეტერბურგი. ნევაზე ყინული დაძრა.

მინსკი. საკომერციო სასწავლებლის ინსპექტორს სამთავროს ნება აუღია და მინსკში ქალებს შვიდკლასიან საკომერციო სასწავლებელს აარსებს. ამ სასწავლებელს ექნება უფლებანი იმპერატრიცა მარიამის უწყების საქალებო გიმნაზიებისა. ხელოვნების მოყვარულთა საზოგადოებამ რიმსკი-კორსაკოვს მხურვალე მისალოცი ადრესი გაუგზავნა.

კოვნო. ზოგიერთმა კოვნოს მცხოვრებელმა ქალაქის გამგეობაში დასაბუთებული არზა შეიტანეს და თხოულობენ, ქალაქის საბჭომ, 18 თებერვლის უმაღლეს ბრძანების ძალით, შეიმუშაოს და მთავრობას წარუდგინოს თავისი ის მოსაზრება, რომელიც სახელმწიფოს წესწყობილებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესობას ხელს შეუწყობსო.

ბერლინი სავაჭრო ხელშეკრულობის დასადებად მოვიდნენ ბულგარიის დელეგატები. მოლაპარაკება 12 აპრილს დაიწყება და ორ კვირას გასტანს. მართლდება ის ხმა, რომ გერმანიამ სავაჭრო ხელშეკრულობის შესახებ ჩინეთთან მოლაპარაკება გამართაო.

რომი. გადაწყვეტილია რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვის მოსპობა.

ყაზანი. „ყაზანის ტელეგრაფში“ [illegible] ღია წერილი სარატოვიდან [illegible] ამხანაგობის სახელით. [illegible] ამ წერილში საზოგადოებას აუწყებენ: ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე ჩვენ ლიკვიდაციონურ კომისიას თხოვნა მივეცით, რომ ამ კანტორის პეტერბურგის ქალაქის ლომბარდთან დამოკიდებულება გამოძიებულ იქმნას, კანტორის საქმეები მოკლე ხანში მოაწესრიგონ, მამულები გაჰყიდონ და ის სახლები, რომელიც სარატოვშია, მოსამსახურეებს დაუცლევინონ და გაჰყიდონ, რომ მოვალეები პირველ ხანებში ცოტად მაინც დააკმაყოფილონ. სარატოვის მოვალეები იწვევენ ყაზანისას, ლიკვიდაციონურ კომისიას ფინანსთა მინისტრთან ვუჩივლოთ და მოვითხოვოთ, რომ კომისიამ დაუყოვნებლივ დაბეჭდოს თავის მოქმედებისა და ამა წლის 1 აპრილამდე საქმის ვითარების ანგარიში. მოვალეები ფინანსთა მინისტრს სთხოვენ, უბრძანეთ კომისიას, ლიკვიდაციაში მონაწილეობის მიმღებთ გამოუგზავნონ მოწმობა ამ საქმეში ჩარევაზე, რადგან მოვალეებმა თავიანთი საბუთები მას გაუგზავნეს და ხელში არაფერი საბუთი აღარა გვაქვსო.

მოსკოვი, 8 აპრილი. სოხუმის ეპისკოპოსად აკურთხეს არქიმანდრიტი სერაფიმი, ერის კაცობაში — გვარდიის პოლკოვნიკი ლეონიდ ჩიჩაგოვი, რომელიც რუსეთ-ოსმალოს ომში მონაწილეობას იღებდა. აღდგომის უქმეებში მოსკოვში შესდგება საშუალო და დაბალ სასწავლებლების მასწავლებელთა კრება მთელი რუსეთის პედაგოგიურ კავშირის დასაარსებლად.

თავრიზი, 8 აპრილი. ხორბლის ფასებმა დაიწიეს. ღარიბი ხალხი დამშვიდდა. თავრიზის ყოფილი პოლიცმეისტერი, რომელსაც სანოვაგის გაძვირების მიზეზად სთვლიან, როგორც ამბობენ, დაჭერილიაო.

პეტერბურგი, 8 აპრილი. ტფილისის სამოსამართლო პალატის განაჩენი იმ სომხეთა შესახებ, რომელთაც საეკლესიო ქონებათა ჩამორთმევის დროს მთავრობას წინააღმდეგობა გაუწიეს, სენატმა დაამტკიცა, გარდა განაჩენისა ვარსამოვის შესახებ, რომელიც სენატმა გააუქმა, ვარსამოვის საქმე ხელახლა უნდა განიხილოს იმავე პალატამ.

სტამბოლი, 8 აპრილი. საფრანგეთის საელჩოს ოფიციალურად ატყობინებენ, რომ გამოიცა ირადე ოსმალეთის მიერ საფრანგეთისაგან სესხის აღების შესახებ.

ვილნო, 8 აპრილი. სასანიტარო კომისიამ გუბერნატორის თავმჯდომარეობით გადასწყვიტა: ზომები მიიღოს ხოლერის გავრცელების წინააღმდეგ.

ერივანი, 8 აპრილი. ნამესტნიკის სიტყვამ მცხოვრებნი დაამშვიდა. მატარებელთა წესიერი მოძრაობა დაიწყო. რუსეთის ფოსტა ჯერ არ მოსულა.

ტამბოვი. 8 აპრილი, ბავშვთათვის მზრუნველი საზოგადოება გუბერნატორმა გააუქმა იმის გამო, რომ საზოგადოებამ 23 მარტის კრებაზე მოსწავლეთა პეტიცია განიხილა, რასაც 26 მარტიდან 2 აპრილამდე მოსწავლეთა გაფიცვა მოჰყვა.

ვორონეჟი. 8 აპრილი. კოროტოიაკის მაზრის სოფელ მასტყაში გლეხებმა მემამულეთა ოცდა-ათი დესეტინა მიწა მოხნეს. გუშინ იქ გუბერნატორი და ჯარი წავიდა.

ხარკოვი, 8 აპრილი. სატეხნიკო საზოგადოების განყოფილებასთან არჩეულ იქმნა კომისია, რომელმაც მუშათა კითხვა უნდა განიხილოს.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისა[illegible]

8 აპრილი.

პარიჟი [illegible] მიერ ნეიტრალიტეტის დარღვევის შესახებ იაპონიის ჩივილს საზღვაო წრეები უსაფუძვლოდ სთვლიან. მებრძოლ მხარეთა გემების სანეიტრალო ნავთსადგურებში დგომის ვადა საფრანგეთის წესებით განსაზღვრული არ არის. უნდა ვიფიქროთ, რომ როჟესტვენსკი ნაპირებთან სამ მილზე ახლო არ უნდა ყოფილიყო, თორემ გავლილი გემები რუსეთის ფლოტს ვერ დაინახავდნენ. იაპონიის საყვედურების თავიდან ასაცილებლად, საფრანგეთის მთავრობამ გადასწყვიტა შესაფერი ზომები მიიღოს. — „პტი ჟურნალის“ ლონდონელ კორესპონდენტის მიერ ნაუწყები, ვითომ იაპონიის თხოვნით ინგლისმა საფრანგეთის მთავრობას ნოტა გაუგზავნაო, ოფიციალურად უარყოფილია. ,,პეტერბურგის სააგენტოს'' კორესპონდენტს ოფიციალურ წყაროდან გაუგია, რომ ნეიტრალიტეტის საკითხის შესახებ საფრანგეთის მთავრობამ ინდო-ჩინეთის გუბერნატორს დეპეშით ინსტრუქცია გადასცა, რაც რუსეთსა და იაპონიის ელჩსაც შეატყობინა. მინისტრთა საბჭო ნაშუადღევის ორ საათზე შეიკრიბა. ხმა გავრცელდა, დელკასე სამსახურს თავს ანებებსო. ,,მატენის'' კორესპონდენტი, რომელიც მიშჩენკოს გალაშქრებაში მონაწილეობას იღებდა, დეპეშით იუწყება რუსეთის კავალერია იაპონიისას ყველგან სჯობნიდაო. რუსები ჰპოულობდნენ იაპონელთა მიერ გაფანტულ აღწერილობას რუსეთის შიდა გუბერნიებში მომხდარ ამბებისას.

პორტ ლუი, 8 აპრილი (დეილი-მეილ). „ჟულიეტას“ კომანდირი უარჰყოფს ვითომც გემი კონტრაბანდით იყოს დატვირთული. „ჟულიეტას“ კომანდა კი ამტკიცებს: გემი კონტრაბანდითაა დატვირთული და კამრანის ნავთსადგურში მიდისო.

ადესა, 8 აპრილი. გემ „ცარ“-ით მოვიდა მეთექვსმეტე ჯგუფი პორტ-არტურელებისა.

შანჰაი, 8 აპრილი. იაპონიის ელჩმა ლიაოტუნის მთავრობას აცნობა, იაპონელთ აზრად აქვთ ლიაოტუნში გადასახადები მოჰკრიბონო. მთავრობამ პროტესტი განაცხადა. იაპონიას აზრად აქვს კანტონში კონსულის თანამდებობა დააწესოს.

იოკაჰამა. რუსეთის ესკადრის კამრანის ნავთსადგურში ხანგრძლივ ყოფნის გამო იაპონიის ჟურნალ-გაზეთები კვლავ შფოთავენ. პრესსას სურს, რომ ინგლისმა საჭირო ზომები მიიღოს, ვინაიდან, როგორც მოკავშირე სახელმწიფო, იგი მოვალეც არის ასე მოიქცესო.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა ინფანტერიის გენერლის ლინევიჩისა მის იმპერატორებით უდიდებულესობის სახელობაზე ამა წლის 7 აპრილის თარიღით: „ჯარებში ცვლილება არა მომხდარა-რა“.

ვაშინგტონი, 7 აპრილი. იაპონიის მთავრობამ აუწყა შეერთებულ შტატებს საფრანგეთის მიერ ნეიტრალიტეტის დარღვევის ამბავი, ვინაიდან როჟესტვენსკის კამრანის ნავთსადგურში შეღავათი მისცაო. იაპონიამ იმიტომ აუწყა ეს ამბავი შეერთებულ შტატებს, რომ ნეიტრალიტეტის არღვევას [illegible] ერთაშორისო საკითხის ხასიათი უნდა [illegible] და აგრეთვე გამოარკვიოს პრინ[illegible], ამნაირ შემთხვევისა გამო აქვს თუ არა [illegible] შემდეგში განზრახული ზომები მიიღოს. ჰფიქრობენ, რომ ვაშინგტონის მთავრობა მხოლოდ იგულისხმებს იაპონიის ნაუწყებს, თუმცა კი გრძნობს, რომ ეს მდგომარეობა სერიოზულია და შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყვესო.

პარიჟი, 8 აპრილი. იაპონიის ელჩმა გუშინ გარეშე საქმეთა მინისტრი ინახულა და მინისტრის ყურადღება მიაქცია კამრანის ნავთ-სადგურში როჟესტვენსკის ესკადრის ხანგრძლივ ყოფნას. ორივე დიპლომატის ბაასი გულითადი იყო. დელკასემ ჰანოტო დაარწმუნა, ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ ფორმალურ ინსტრუქციებს გამოვცემო. გუშინ საღამოს იაპონიის მიერ გამოცხადებული პროტესტი ჯერ კიდევ მიღებული არ იყო გარეშე საქმეთა სამინისტროში. პალატის დერეფნებში საშიში ხმები გავრცელდა, ვითომ პარიზში მოსულ ცნობებით ამ ცოტა ხანში ესკადრებ შორის აუცილებელი ომი მოხდებაო. ზოგიერთა დეპუტატებმა განაცხადეს, თუ ომი ინდოეთ ჩინეთის წყლებში მოხდა, საფრანგეთს უსიამოვნება მოელისო.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ადმირალ კოლომბოს აზრი მომავალ საზღვაო ბრძოლის შესახებ. „დეილი ტელეგრაფ“-ის თანამშრომელს ინგლისელი ადმირალი ჯონ კოლომბო უნახავს და მომავალ საზღვაო ბრძოლის შესახებ გამოუკითხნია. ჩემთვის ცხადია, — უთქვამს კოლომბოს, — რომ რაკი იაპონელები რუსეთის ესკადრას ზარბაზნებს დაუმიზნებენ, სანამ არ დალუპავენ და არ გაანადგურებენ, ხელიდან არას დროს არ გაუშვებენ. რუსებს ვლადივოსტოკში ჩუმად შეპარვა გულითაც რომ უნდოდეთ, ვერას გახდებიან და ტოგოს კრეისერებს ვერ ასცდებიან. ბრძოლის ადგილისა და დროს არჩევა ადმირალ ტოგოს ნებაა. მერე იცით, რა მოხდება? რუსეთის ფლოტს იგივე დაემართება, რაც ესპანიის უძლეველ არმადას დაემართა (ფილიპე II-მ ინგლისის წინააღმდეგ 200 სამხედრო გემი გაგზავნა, მაგრამ ინგლისელებმა ეს ფლოტი სულ მთლად გაანადგურეს). ჩემის აზრით, ადმირალი როჟესტვენსკი მამაცი კი არა, გამბედავია; ნუ დაგავიწყდებათ, რომ რუსეთის მთავრობა ცრუმორწმუნეობით არის გამსჭვალული და რაღაც მოსაზრებით სწამს, რომ ომის ბედი რუსეთს გაუღიმებს, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ომის ბედი იმ როჟესტვენსკიმ უნდა გადასწყვიტოს, რომელზედაც ამჟამად ადმირალი ტოგო ნადირობს. შეიძლება თვითონ როჟესტვენსკისაც სწამდეს ესა, ანუ საბრძოლველად იმიტომ მიდიოდეს, რომ ბრძანება მიიღო» («ნ.»).

მარშალ ოიამას მაშველი ჯარი მოუვიდა. „ნ. ვ.“-ს კორესპონდენტი ოლგინსკი დეპეშით იუწყება: ჩინელების სიტყვით, დალნიში 30000 სალდათი გადმოვიდა და ამ დღეებში მარშალ ოიამას შეუერთდაო. გარდა ამისა, 16 მარტს აიროშიმიდანაც 15 ათასი იაპონელი [illegible] (ეხლა ეს ჯარიც ბრძოლის ველზე იქნება). 45 ათასი სალ[illegible] გენ. კავამურას შეუერთდა. გენ. კავამურა ამ ჟამად გირინის ასაღებად მიდის. ამ დღეებში ინკოუშიაც გადმოსულა ჯარი. ჩინურ გაზეთების სიტყვით გენ. კავამურას მაშველ ჯარის მოსვლამდე 30 ათასამდე კაცი ჰყავდა. კავამურას არმიის შტაბის უფროსად გენერალი აკიამა დაუნიშნავთ. ამავე არმიას მისდევს გენ. კოტოს უფროსობით საალყე არტილერია, რომელიც, უეჭველია, ვლადივოსტოკისთვის იქნება. იანვრის გასულს იაპონიამ ამერიკაში ერთ ფირმას 200 ტყვიის მფრქვეველი შეუკვეთა (ნ. ვ.).

იაპონელები ვლადივოსტოკისკენ მიდიან. „ნ. ვ.“-ს იგივე კორესპონდენტი იუწყება: ამბობენ, გენ. კავამურას ჯარი იალუს სათავესა და კორეის ნაპირზე (ვლადივოსტოკის სამხრეთით) გაიშლებაო. 18 მარტს ერთი ჩვენი რაზმი ქალაქ კილჯუსთან (პლაკსინის ნავთსადგურის სამხრეთით, ზღვის ნაპირიდან 30 ვერსის მანძილზე) იაპონელებს შეებრძოლა: იაპონელებს სამხრეთიდან ხელათვე 2 ბატალიონი ქვეითი ჯარი მოეშველა, რაიცა იმას ნიშნავს, რომ მთელი ჩრდილოეთი კორეა იაპონიის ჯარს უჭირავს. ცხადია, რომ დღეს, თუ ხვალ, იაპონელები კორეის საზღვარს გამოსცდებიან და ვლადივოსტოკს მიადგებიან (რ.).

ვლადივოსტოკი. უცხოელი კორესპონდენტები ერთხმად ამტკიცებენ, რომ ამ ჟამად ვლადივოსტოკში 100 ათასი სალდათია. ამ ჯარს ყოველ-დღე ათასი კაცი ემატება. ვლადივოსტოკის ფორტებზე 500 საალყე ზარბაზანი აწყვია. თუ წვრილ ყალიბიან ზარბაზნებსაც ვიანგარიშებთ, გამოვა, რომ ასე ძლიერ გამაგრებული ციხე ჯერ არსად ყოფილა. ვლადივოსტოკის ასაღებად, უცხოელთა სიტყვით, იაპონელებს დასჭირდებათ დაახლოვებით 200 ათასი სალდათი (რ.).

რამდენი სალდათი ჰყავდათ იაპონელებს მუკდენის ბრძოლის დროს? ,,მორნინგ პოსტ''-ის სამხედრო მიმომხილველის, ბ-ნ არგუსის ანგარიშით, მარშალ ოიამას მუკდენის ბრძოლის დროს 500 ათასი კაცი ჰყავდა; სამხედრო საქმის მცოდნე ბერლეის აზრით — 600 ათასი; ,,ცენტრალ ნიუს''-ისა და ,,დეილი ტელეგრაფ''-ის აზრით — 525 ათასი; ,,სტანდარტ''-ის აზრით — 520 ათასი; ,,რუს. ვედ.''-ის სამხედრო მიმომხილველის ს. კ.-ს აზრით — 525 ათასი; ,,დეილი-მეილ''-ის აზრით — 350,000 გენ. კეიმის სიტყვით — 325 ათასი; პოლკოვნიკის გედკეს სიტყვით — 260 ათასი; რუსეთის მთავარი შტაბის აზრით კი მხოლოდ 235 ათასი. „ნოვ. ვრ.“-ს კორესპონდენტი ოლგინსკი დაწვრილებით ანგარიშობს და ამტკიცებს, რომ იაპონელებს მუკდენთან, ბევრი-ბევრი — 300 ათასი კაცი ჰყავდათ და 1000-მდე ზარბაზანი ჰქონდათო (ნ. ვ.).

რამდენიმე კორესპონდენტი იუწყებოდა, თურმე ნუ იტყვით, გენერალ ნოგის მუკდენის დასავლეთით 50 ათასიდან 80 ათასამდე სალდათი ჰყვანდაო. ამის შესახებ „ნ. ვ.“-ს კორესპონდენტი ტაბურნო იუწყება: გენ. ნოგის წინააღმდეგ გენ. კუროპატკინმა 150 ბატალიონი (130 — 150 ათასი კაცი) გამოიყვანა და განა შესაძლებელია, რომ რიცხვით ორჯერ ნაკლებ იაპონიის ჯარს ამოდენა ჯარი დაემარცხებინა? შესაძლებელია თუ არა, მუკდენის ბრძოლამ დაამტკიცა! (ნ. ვ.).

კორესპონდენციის ნიმუში. ყოველ ბრძოლისა და [illegible] დამარცხების შემდეგ, [illegible] გაზეთების კორესპონდენტები იუწყებიან, ტყუილია, არ დავმარცხებულვართ, მხოლოდ უკან დავიხიეთ და ისიც იმიტომ, რომ ამას გეგმა და უმაღლესი პოლიტიკური მოსაზრება მოითხოვდაო. ეხლა, მუკდენის ბრძოლის შემდეგ, სადაც რუსებს 200 ათასზე მეტი სალდათი დააკლდათ, სადაც იაპონელებმა რუსებს 700 ზარბაზანი, აუარებელი სურსათ-სანოვაგე და იარაღი წაართვეს, სადაც 70—80 ათასი რუსი ტყვედ დაიჭირეს, ამის შემდეგ კორესპონდენტები ისევ ირწმუნებიან, არაფერიც არ მოხდაო. აი ნიმუშიც: „ნ. ვ.“-ს კორესპონდენტი ტაბურნო იუწყება: იაპონელებს ჩვენზე ნაკლები ზარალი არ მოსვლიათ (სად 200 ათასი და სად 60 ათასი?) და ტყვედ მხოლოდ 15 ათასი წაიყვანეს (სად 15 ათასი და სად 70 ათასი). დანამდვილებით გეუბნებით, რომ ჩვენი ჯარი ეხლაც ისევ კარგ მდგომარეობაშია, როგორშიაც მუკდენის ბრძოლამდის იყო.

სწორედ რომ კარგ მდგომარეობაში ყოფილა!

გენერალ დრაგომიროვის წერილი. გენ. დრაგომიროვს ზავისა თუ ომის შესახებ პეტერბურგში შემდეგი მიუწერია: «თუ შინაგან საქმეთა მინისტრი დარწმუნებულია, რომ მომავალი მობილიზაცია მშვიდად ჩაივლის და არავითარი არეულობა არ მოხდება, თუ გარეშე საქმეთა მინისტრიც დარწმუნებულია, რომ დასავლეთ საზღვრებიდან და შუა აზიიდან ჯარის წაყვანა სახიფათო არ არის და თუ ფინანსთა მინისტრიც დაგვიმტკიცებს, რომ რუსეთს ომისთვის საკმა-

ფელეტონი

ვაჭრობამ იკლო!

ნი... ნუ... ნი... ნუ... ნი... ნუ... დაიწკარუნა საღამოს ლოცვის ზარმა სამრეკლოდან. ეკლესიას მგლოვიარე ფერი ედვა, ორიოდ პაწია სანთელი მხოლოდ ხატებ წინ ბჟუტავდა. კუთხეში ორი ბებერი დაყრდნობილიყო ყავარჯნებზე, მნათე გულხელდაკრეფილი ატუზულიყო დიაკვნის უკან. მნათის გვერდზე ადვოკატი კირილე მიყრდნობოდა კედელს. ესენი იყვნენ ყოველდღიური მლოცველები ამ ეკლესიისა.

ჩუმად და წყნარად გათავდა ლოცვა, წყნარად გამოვიდა მღვდელი, აკურთხა მლოცველები, აამბორა ჯვარზე, ნაღვლიანის თვალებით შეხედეს იმანა და კირილემ ერთმანეთს. ყველანი გამოვიდნენ გარედ. მღვდელმა რამდენჯერმე ჩაახველა, თითქო სალაპარაკოდ ხმას იწმენდავსო, მაგრამ ხელი ჩაიქნია და გასწია სახლისაკენ.

— გუნებაზე არ არის!

ამოიოხრა დიაკვანმა.

— დღეს „კრუჟკა“ გავხსენით, ორი შაური აღმოჩნდა!

მიუგო მნათემ. კირილეც მიხვდა, რაში იყო საქმე.

მნათე მღვდელს გაჰყვა, დიაკვანი და კირილე კი ეკლესიის წინ სასაფლაოს ქვაზე ჩამოსხდნენ.

— ეჰ, — ამოიოხრა დიაკვანმა, — მორჩა, წავიდა, კაფუჩდა ქვეყანა.

— არა, როგორ უცებ შეიცვალა და ყველაფერი! შარშან ამ დროს ჩემ ეზოში ათი-ხუთმეტი ბატკანი ბღაოდა. სააღდგომოდ ორი ისეთი კოჭი მომიყვანეს სოფლიდან, რომ ქონი ზედ ადნებოდა! ყველი და ერბო ხომ ჩემს დღეში ბაზარში არ მიყიდნია, — მიუგო კირილემ და დააყრდნო ჯოხს თავი.

ორივენი ჩაფიქრდნენ. საღამოს მწუხრში გახვეული ეკლესია რაღაც ნაღვლიანად დასცქეროდა მათ.

— მე მახსოვს, — დაიწყო ისევ დიაკვანმა, — ამისთანა დღესასწაულებში ჯიბეში ხურდა ფული ხურმასავით მეყარა. ხომ იცი, ზოგი სანთლიდან, ზოგი თეფშის ზიარებისა, და მე ჩემი ლუკმა არ მაკლდებოდა. ეხლა? ორ-გროშიან სანთელს თუ აანთებს ვინმე, თორემ სადღა ნახავ წინანდელ მაჯის სისხო კელაპტრებს!

— შენ ეგ რად გინდა, ჩემს პორტფელში არ მახსოვს რომ „ზაიავლენიე“ „ისპოლნიტელნი“ და საქმის ქაღალდები გამოლეულიყოს. მერწმუნე, რომ ოთხი-ხუთი თვე იქნება, რაც კალამი აღარ მომისვამს. რით უნდა იცხოვროს კაცმა. ჩემი ცოლი ჩამომკიდებია, დღეს, გინდა თუ არა, სააღდგომოთ ერთი კაი „სტოლი უნდა გავაჩაღოთო“. არა, რით? ერთი ჰკითხოს კაცმა და! პური რა არის, პური ისიც კი გაჭირდება სასყიდლად. რომელი ერთი გინდა ჩამოსთვალო!

— გაგიჟდა, გაჟიდა ხალხი! არა, სიგიჟე არ არის, მაშ რა ოხრობაა? ეკლესია დაივიწყეს, მღვდლისა აღარა სწამთ რა, სულის კარებს აღარ ეკარებიან, რომელი ერთი თქვას კაცმა. ყველა ჰკუას გასწავლის, ჰკვიანობასა ჩემულობს, დიდი და პატარა აღარ გააჩნიათ, — „ერთობააო“!

— გამარჯობათ, ვა რას დანაღვლებულხართ, კირილ იესეიჩ! ბართლომე მოისეიჩ! ერთი აღარ დამხედავთ, კაცო? აქ რას დამსხდარხართ, თქვე დალოცვილებო, ფაფასავით ღვინო ლამის მეორედ ადუღდეს ჩემ ბოჭკებში! მიესალმა კირილეს და ბართლომე დიაკვანს სირაჯი ვასუა.

— ეჰე, შენც ლაპარაკობ რაღა, დიდმარხვა ისე მიდის, ორი გროში ერთმანეთზე არ მინახავს! რით? მე ვიცი, იტყვი თუ, ღვთის მოსამსახურე კაცია, პატივი ვცეო. — მიუგო დიაკვანმა.

სირაჯმა ჩოხა აიწია და დიაკვნის გვერდით ჩამოჯდა ქვაზე.

— როცა საქმე გაქვთ, კაცს სულ ზურგს უკან ასდევთ ანგელოზივით, როცა არა და, ზედაც არ შეხედავთ. თქვენისთანა გაუნათლებელმა ხალხმა ასე იცის. — დაუდასტურა დიაკვანს კირილემაც.

— ვა, თქვე დალოცვილებო, საქმე რომელია. ყოველდღე ხომ არ მეყოლება მკვდარი. მამაჩემი იყო და ჩავაბარეთ, დედაჩემი იყო და, ჯერ სული სამოთხისკენ არ წასულიყო, რომ საწირავი მუჯაში გეჭირათ. „სუდია“ და — ხუთი წლიწადი ჩემი „ზაიავლენიები“ სენატამდის ატარე. რამდენი აპელაცია, რამდენი ჯანდაბა და დოზანა! სამოცი თუმანი ნაღდი ფული ჯერ შენ გეგითავებია, აი, კირილ იესეიჩ! ახლა სხვები მოთვალე, — ეს „პრაოპეკი“, ეს მოწმე, ეს ისა, ეს ესა. ყველას პატივი უნდოდა, არა! მერე რა გამოვიდა? ჰუზურში, რა მოვიგე? ვირის თავფეხი! მანამ საქმეს გამითავებდით, სახლი ისე ჩამექცა თავის „პოლ-პატალოკიანათ“ რომ მეც ცარიელი დავრჩი, ჩემი ძმაც. არა, ძმაო, ღმერთმა უშველოს, ვინც „ერთობა“ მოიგონა. მოკვდება ვინმე, წაიღეთ რაღა; არ მოკვდება — ვის რა დავა აქვს. საჩივარიო, საჩივარი რად მინდა: გეურქამ მაწყენინებს, სანდრუას დაუძახებს, სანდრუამ ამიხირდება, გეურქას, ვეტყვი, თუ, ძმაოჯან, ასე და ასე, წამოდი ერთი, ტკბილი პური ვჭამოთ, ძმა-ბიჭებთან ფლანი საქმე მაქვს, გადაწყვიტე-მეთქი! მორჩა და გათავდა! მაშ „ერთობა“ ტყუილია, რაღა. არა, ძმავ, ნამდვილი გემო იმაში ყოფილა, ვინც გაიგებს. მეორეც ესა, კაცათა მთვლიან და, კაცო. აი ეხლაც იქიდან მოვდივარ რაღა. იცი, რამდენი ვილაპარაკეთ! მეე, ჩვენებიანთ სისუამ, ნიკუამ! სულ ჰურას ვიძახოდით რაღა. მერე სადა, კაცო, არა მკითხავთ? ქალაქის სახლში, ღლასნებთან, მე ავედი და ყველას საქვეყნოდ გამოვუცხადე: ,,ძმებოჯან, ოღონდ ერთი ტკბილად ვიცხოვროთ, ოღონდ, ერთი დუქნის კარებიდან ,,გოროდოვოი'' მომაშორეთ და ჩემი საცხოვრებელი თქვენი იყოს-მეთქი“. მოვილაპარაკეთ რაღა, გადავწყვიტეთ, თუ „ერთობა“ მოსულა, სუყველამ ერთად ვისწავლოთ ქვა, არა, „უჩასტოკში“ არ გავგზავნო აღდგომის ბატკანი, ისევ ძმა ბიჭს დაუკლა! პასკა მე კი ვეღარა ვჭამე? რომელი ძღვენი, რაღა ძღვენი, ვის? რათა, კაცო? ეე, ეხლა მკვდარი ვირი ჩვენ ხელშია, საითაც გვინდა თავს იქით უზამთ. მაშ!

— აბა, ესეც რო ასე ლაპარაკობს, სხვას რაღა შევასმინო! — სთქვა ნაწყენმა დიაკვანმა.

— მაშ ქვეყანა აღარა ყოფილა ჰა, შენის აზრით. მაშ ადვოკატი მოგონილია, როგორა გგონია, იმოტელა კანონები ვის დაუწერია?

— ვა, მაგას ვინ მოგახსენებთ, კირილ იესეიჩ, ქვეყანას ჯვარი ეწეროს. ქვეყანა რო არ იყოს, მე რაღა მერქმევა, ვისთან წავალ, ვისთან მოვალ, ეშმაკი ვარ, მარტო ვიცხოვრო? ადვოკატიც ღვთის გაჩენილი იქნება, რაღა. ჰია რა არი, ჰიაც კი სუ იმისი საქმეა, ვენაცვალე იმის ტიბიკონს. ,,ადვოკატი''... ადვაკატი იყოს რაღა, რამდენიც უნდა იყოს, როგორც უნდა იყოს, მე რაში მეკითხება, მე ვამბობ თუ, საადვაკატო საქმე სანდრუას უნდა მივაბარო მეთქი, მერე ვის რა დავა აქვს? ღერბოვის მარკა — ერთი ხელადა ღვინო! დაავარტყამ სტოლზე და ნახე, რაღა, ძმა ბიჭების კანონები, მართალი ხარ, — გეტყვიან თუ, ვასუაჯან, შენ მართალი ხარ, მტყუანი ხარ — არც ამას მოგერიდებიან! მეტყვიან: სტყუი რაღა, კაცო, არ გაჩუმდებიო! მეტი რა ილაჯია, ძმა-ბიჭი გამტყუნებს, ვა! რა ვიცი, ცოდვის შვილები ვართ, იქნება ვსტყუი!

— შვიდი წელიწადი მამა-ჩემმა ფული ხარჯა, „გოროდსკოი უჩილიშჩე“ გამათავებინა, მეც ადვოკატი გამოველ, რამდენს „კატორღა გადაგარჩინეთ“, რამდენს წასაგები საქმე მოგაგებინეთ, და ეხლა ამბობთ: ადვოკატი ჩვენი სანდრუა იქნებაო! საქმე კანონებია, თქვენ რა იცით „ულოჟენიე ნაკაზანია!“ აბა ერთი მიპასუხე?

— მამაოჩვენოც კი არ იცით ზეპირად! — დაუმატა დიაკვანმა.

— ეგენი თუ არ ვიცი, დიდი საქმეა, კაცმა საღორეს ძლივ დავაღწიე თავი, ჩამოველ ქალაქში, აქეთ მოვდექ, იქით მივდექ, ლუკმაპური გამიჩენია, ვენაცვალე რუმბის მოკუპრულ პირს. ღემნაზიაში ვინც ისწავლა, მე ხომ არ შევცილებივარ, მე ორიოდ ანბანი ძლივს-ძლივობით მისწავლია, ქვეყანაში მაინც კაცი გამოველ, სოფელში პატივი მაქვს, ძმა-ბიჭებში სახელი, „ვენნი პოდიომზე“ ღვინის „სკლადი“, ვცხოვრობ რაღა! „ერთობა“ ამბობს, ადვოკატი აღარ გვინდა, „გოროდოვოი“ გადავაყენოთო. ვა, განა ხეირი საქმე არ არის, ანგარიშია რაღა.

ყველაფერი რომ მე ვისწავლო, სხვამ რაღა ქნას, მამაოჩვენო ვიღა წაიკითხოს! იკითხეთ რაღა რამდენიც გინდათ! მაგრამ იცით რა გითხრათ, მოდი ერთ ხათრს ნუ გამიტეხავთ, მოდი ერთი ჩემს დუქანში ჩავეშვათ, ორიოდ სველი ჩარექა ვნახოთ და, შარშანწინ გამოგიზავნეთ, ეხლა დუქანში დავლიოთ რაღა! თქვენმა ვაჭრობამ თუ იკლო, ჩემი წინ წამიწევია!

დიაკვანმა სიამოვნების ნიშნად ჩაახველა. კირილ იესეიჩი შეტოკდა.

— ჰა, რას უყურებთ, არა გჯერათ. მოდით რაღა, ერთი ქრისტიანულად დავილოცნეთ და ადვოკატურად „ზაიავლენია“ შევიტანოთ ჩემს „პოგრებში“.

დიაკვანი ნელნელა აიმართა მუხლებში, კირილემ სიამოვნებით გადახედა მას და თვითონაც წამოიწია.

— კარგით რაღა, რას ნაზობთ, რას დალონებულხართ, კაცო, აკი გეუბნებით თქვენი ვაჭრობა და ჩემი შორიშორს-მეთქი, ზაიავლენიე ვერ დაწერე — მშიერი ხარ, არავინ კვდება — იმარხულე. მე? მე ვენაცვალე ჩემს მარჯვენას, მოუშვი რუმბს, ჩაყარე თეთრი ფული დახლში, აღარც ღოროდოვოი, აღარც ადვაკატი, რიღასი მეშინიან. ყველას უთხარ თუ, „პოშოლ ოტსუდი, ერთობაა-თქო“! მაშ... ვაჭრობამ იკლოვო ახლა რომელ ვაჭრობამ და არ იკითხავთ?!

ვასუა წინ გაუძღვა დიაკვანსა და ადვოკატს, ისინიც გაჰყვნენ უკან, იმედ-მიცემულები, რომ მალე ჩაისველებდნენ ყელს წითელი ღვინოთი.

ი. ევდოშვილი.

ხ ა ლ ი.

(ძველი ამბავი)

— ... ჰა, ჰა, ჰა!... შენ რა იცი? რა გესმის?!.. — გადიხარხარა აბდულა ჯალათმა და მის გვერდით მჯდომ ტუსაღს მხარზე ხელი დაჰკრა: — საქმეც ის არის — ადამიანი სუნთქავდეს, გული უცემდეს, თვალით იხედებოდეს, ლაპარაკობდეს და ერთი ხელის გაქნევით საუკუნოდ დაამუნჯო. აქ სხვა რამეც არის უფრო საყურადღებო. მაგალითად, შენთან ადამიანი ლაპარაკობს, იხედება, სუნთქავს, მოძრაობს, ყურთ ესმის და ყველა ამას სჩადის სრულიად დამშვიდებული, ჩვეულებრივად, რადგან შენი არ ეშინიან... შენც მისთანა ადამიანად მიაჩნიხარ და დარწმუნებულია, ვერავითარ ვნებას ვერ მიაყენებ... მაგრამ, როდესაც იგივე ადამიანი ჩემს წინაშე დგას, იგი თრთის, ცახცახებს, თვალებში შემოხედვა ვერ გაუბედნია, მუხლები ეკვეცება, მუნჯდება და მისი გულის ძგერა ერთ ვერსზე გესმის. იმიტომ, რომ ჩემი ეშინიან. მისი სული, აი, აქ, ხელში მიჭირავს და, როცა მინდა, მაშინ გავუშვებ — წუთით ადრე თუ წუთით გვიან — ჩემი საქმეა. მე ვარ მაშინ მისი ღმერთი, მისი სულთამხუთავი... ხედავ ამ ცოცხალ ადამიანს და ფიქრობ: „მე შემიძლია ეს ცოცხალი არსება ერთ წუთს უძრავ გვამად გადავაქციო“... გახდი ტანისამოსს, გადააცვამ ხალათს, მიიყვან სკამთან და ეტყვი: „აბა, ძმობილო, აბრძანდი ტახტზე!“... თითონვე ავა, კისერს გამოგიწვდის, თავს თოკში გააყრევინებ და... გათავდა! შეხედავ — ეს შენი „ადამიანი“ იგრიხება, იმანჭება... უკანასკნელი ამოკვნესაც მოაწვება კისერში, მაგრამ... ჰა, ჰა .. თოკი არ უშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისი ფული აქვს, მაშინ ჩვენ ციმბირის რკინის გზას მეორე ლიანდაგიც უნდა მივუმატოთ, 1 მილიონი სალდათი შევკრიბოთ და 3—4 წლის ომისთვის უნდა მოვემზადოთ. თუ ყველა ზემოდ ჩამოთვლილი პირობა ასრულდება, შეიძლება ითქვას, რომ ომს ჩვენ მოვიგებთ (რ. ვ.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტებიისაგან)

ქუთაისი, 9 აპრილი. სვანეთიდან ამბავი მოვიდა,—თავად გარდაფხაძეებმა **მოჰკლესო გლეხთა ეხლანდელ მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისთვის თავადი შანშე გელოვანი.** ხალხი ძლიერ აღელვებულია. ხიდები ჩაანგრიეს. სვანეთში მიმოსვლა შეჩერებულია.—ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრება დაიწყო. თეატრის დარბაზი ხალხით გაჭედილია. საყურადღებო საგნებზე მსჯელობენ. შეუდგნენ უქვეშევრდომილეს ადრესის შემუშავებას.

ქუთაისი. 9 აპრილს, საღამოს 8 საათზე 3-მა შეიარაღებულმა კაცმა გაძარცვა რუსეთის საზოგადოების აგენტი ბულვარის მახლობლად. წაართვეს 1700 მანათი. გამძარცველები მიიმალნენ.

ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოსეირნე ხალხზე.

პეტერბურგი. ჟურნალისტთა კრება კავშირის შეკვრით დასრულდა.

ახალი ამბავი

✦ პარასკევს, 8 აპრილს, საღამოთი სადგურ ტფილისიდან ბათუმისაკენ გავიდა მხოლოდ ერთი მატარებელი. ორთქლ-მავალს **ჯარის-კაცები და ჟანდარმები გაჰყვნენ.**

✦ გუშინ-წინ ახალ ამბებში დაბეჭდილი გვქონდა, ვითომც «მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა **გენერალ-ლეიტ. მალამამ განკარგულება მოახდინა,** სადგურზე დაყენებულ ჯარმა და კაზაკთა რაზმებმა სხვა ზომებს მიმართონ ხალხის დასაშლელად და არ კი ესროლონო». როგორც დანამდვილებით გავიგეთ ეს ამბავი მართალი არ ყოფილა,—არავითარი ასეთი განკარგულება გენერალ მალამას არ მოუხდენია.

✦ **რადგანაც მუშებს ვერ შოულობენ, სახალხო** მატარებლის № 4 ორთქლ-მავალი ისევ გადაპირქვავებულია. ორთქლმავალი ტფილისის სადგურთან მთავარ-ლიანდაგზე გდია. რკინის გზის სლესრები ახლოც არ უდგებიან.

✦ ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლის მოადგილემ თავ. ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანმა შუამდგომლობა აღძრა—გუბერნიის იმ მემამულეთ, რომლებსაც სოფლის მამულები დაგირავებული აქვს საკრედიტო დაწესებულებაში, მიმდინარე წლის სარგებლისა და ნედოიმკების შეტანა გადადებულ იქმნას, რადგან, გლეხთა მოძრაობის გამო, მამულებს აღარავითარი შემოსავალი არა აქვსო. გუშინ მეფის მოადგილის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისგან **თავ. ორბელიანმა შემდეგი დეპეშა მიიღო:** თავად-აზნაურთა ინტერესებს მე დიდ ყურადღებას ვაქცევ და გთხოვთ თქვენ, თავადო, ჩემს მოსვლამდე თქვენს დეპეშაში მოხსენებულ შუამდგომლობის შესახებ საჭირო ცნობები მოამზადოთ, რომელთაც შუამდგომლობის აღძვრამდე ადგილობრივ განვიხილავ.

✦ ტფილისის სათავად-აზნაურო საკრებულოში მოვიდა **პეტერბურგიდან დეპეშა, რომ კავკასიის ახალი ნამესტნიკი ტფილისში** 3 **მაისს ჩამოვა და რომ 22** მაისისათვის არის მოწვეული ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა საერთო კრება.

✦ **«სინ ოტეჩესტვა»** გადმოგვცემს, 2 აპრილს დილის $11^1/_2$ საათზე, შინაგან საქმეთა მინისტრამ მიიღო ტფილისისა, ბაქოსა და ერევნის ქალაქების საბჭოთა დეპუტაციები. დეპუტაციებმა სთხოვეს ცალკე აუდიენცია, დაგვინიშნეთო, მაგრამ მინისტრმა უარი უთხრა. ყველა დეპუტაცია ცალცალკე მიიღო და 10—15 წუთს ესაუბრებოდაო. მინისტრმა ჰკითხა დეპუტატებს: **რა კანონმდებლობის ძალით ან ვინ მოგცათ თქვენ ნებართვა განსაკუთრებულ მისსიით პეტერბურგში მოსულიყავითო?** დეპუტაციებმა უპასუხეს, საბჭოს დადგენილებანი და დეპუტაციების პეტერბურგში წასვლა იცოდნენ, როგორც გუბერნატორებმა, რომლებმაც ეს დადგენილებანი დაამტკიცეს, ისე კავკასიის მთავარ-მართებელმა და იმათის მხრივ არავითარი დაბრკოლება არა ყოფილაო. მინისტრს უკითხავს: ჩემთან მხოლოდ ორი კვირის შემდეგ რად გამოცხადდითო? —ჩვენ გამოგეცხადეთ თქვენ, არა როგორც შინაგან საქმეთა მინისტრს, არამედ როგორც ხალხის წარმომადგენელთა მოსაწვევ საგანგებო ბჭობის თავმჯდომარესო,—უპასუხეს დეპუტატებმა.

დანარჩენი ჩვენმა მკითხველებმა იციან იმ დეპეშიდან, რომელიც დეპუტაციისაგან ქალაქის გამგეობას მოუვიდა და ჩვენს გაზეთშიაც იყო დაბეჭდილი.

✦ ჩვენმა რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები: 1) **„ბრძოლა არსებობისთვის“,** დრამატიული პოემა 4 მოქმედებად და 7 სურათად—თხუზ. დავ. გაბრუაშვილისა, გუთნის გამოცემა. წიგნი სუფთად არის დაბეჭდილი, 278 გვერდს შეიცავს და ღირს 60 კაპ.; 2) **„სამშობლო და კაცობრიობა“,** ივ. მაჭავარიანისა, წიგნი ღირს 10 კაპ.

✦ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწეს ნ. ა. **სულთან-ყრიმ-გირეის გურიაში მოგზაურობის შესახებ მოხსენება** შეუდგენია და **წარუდგენია** კავკასიის ნამესტნიკ გრ. ვორონცოვ-დაშკოვისათვის.

✦ ჩვენ გვატყობინებენ რომ დეკანოზი ვოსტორგოვი უმაღლეს ადგილზე **რუსეთში გადაჰყავთ,** ეპისკოპოს დიმიტრის ნაცვლად კი ინიშნება **არქიმანდრიტი გიორგი (ალადაშვილი).**

✦ გუშინ, 9 აპრილს, სოფ. **კოდასა და ყუმისის მცხოვრებლებმა შესჩივლეს ტფილისის მაზრის უფროსს,** რომ ფიდო ბასილოვსა და საქულ გეურქოვს აქვს ჩაგდებული ხელში იჯარით ყველა საბატონო ადგილებიო და ჩვენზე იჯარით გაცემის დროს საშინლად გვავიწროვებენო,—ადგილებს მხოლოდ შეძლებულ გლეხებს აძლევენ და, მეოთხედს გარდა, კიდევ 2 მან. სამოურავოს გვ რთმევენო. ეს მოიჯარადრეები მოგვაცილეთ და ადგილები მოგვეცით ყველას დასამუშავებლადაო.

✦ დღეს ავჭალაში მიდის ტფილისის საბჭოს **განსაკუთრებული კომისია ავჭალელების საჩივრის გამოსარკვევად.** გლეხები ამტკიცებენ თურმე, სადაც წყლისაყვანია გამართული, ის ჩვენი სანადელო მიწა არისო.

✦ ტფილისის საბჭოს საფინანსო კომისიამ გადასწყვიტა, რომ **მიეცეს 18000 მანათი საჩუქრად საბჭოს ყველა მოსამსახურეს,** იურისკონსულტსა და ტეხნიკებს გარდა. ამ ფულის განაწილება გამგეობას და მოსამსახურეთაგან არჩეულ კომისიას მიენდო.

✦ **ქალაქის ხორცის დუქნების გამგეებმა სთხოვეს ქალაქის გამგეობას რევიზიის მოხდენა დუქნებში,** ვინაიდან დღევანდელ პირობებში ამ დუქნებს არ შეუძლია არსებობაო.

✦ გუშინ, 9 აპრილს, ქალაქის საბჭოში ბ-ნ ს. ჭრელაშვილის თავმჯდომარეობით მოხდა **გაფიცულ მემანქანეთა მეორე კრება,** რომელსაც ასისზე მეტი კაცი დაესწრო. კრებამ დაადგინა: 1. ვარტენბურგის დათხოვნის შესახებ ეკითხოს აზრი რკინის გზის ყველა მის ხელქვეით მყოფ მოსამსახურეს და ეს საკითხი მეორე ჯგუფის საკითხთა სიაში იქმნეს გადატანილი; 2. ზეინკალ კეზინბერგის შესახებ ეცნობოს ბ-ნ მიხაილოვის თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიას, რომ იგი არ იყო გაფიცული და მუშაობის დროს იქმნა დაჭრილი; 3. მოითხოვონ უფროს ზეინკალის ადსანაშვილის განთავისუფლება და მის განთავისუფლების შესახებ გაზეთებში გამოაცხადონ; 4. მოითხოვონ სამხედრო და გაძლიერებულ დაცვის წესების მოსპობა რკინის გზაზე, ვინაიდან გაფიცულები არავის ჰკლავენ და არავის ერჩიან; 5. მოითხოვონ ბაქოს და ფოთში დაპატიმრებულთა განთავისუფლება; 7. სთხოვონ კომისიას დააჩქარონ კონდუქტორის ოქურაშვილის საქმის გარჩევა; 7. ჯამაგირის დასანიშნად და დასახაზრების დროს მორიგებით საქმის გასათავებლად მოითხოვონ ცალკე კომისიის არჩევა; 8. მოითხოვონ სიტყვის, პრესის, შეკრების, გაფიცვის თავისუფლება; 9. მოითხოვონ გაფიცვის დროს მოკლულ ან დასახიჩრებულთ ოჯახების უზრუნველ ყოფა; 10 მოსთხოვონ დელეგატებს—გაფიცულთაგან შემუშავებულ მოთხოვნაზე არ განაცხადონ უარი; 11. მოსთხოვონ კომისიას იმის გარკვევა, სად არის 6 აპრილს დაკარგული უმაწვილი თეოფილე დოლიძე და მისი განთავისუფლებაც,—დაპატიმრებული თუ არის გაფიცვის გამო; 12. არ შესწყვიტონ გაფიცვა, მანამ დელეგატები საბჭოს ამავე დარბაზში არ გამოუცხადებენ, რომ შეუძლიათ მუშაობის დაწყება; 13. რემონტის მუშების მხრივ აირჩიონ კვლავ ერთი დელეგატი დათიაშვილი; 14. სთხოვონ კომისიას რემონტის მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება და ამასთანავე წარადგინონ სანიმუშოდ პურის ნაჭერი, რომელსაც აძლევენ საჭმელად მუშებს; 15. ქრთამების მოსპობა სადგურების უფროსებში, რომელნიც ზოგიერთებისაგან ქრთამს ოთხ-ხუთ თუმნობით იღებდნენ; 16. მოახსენონ კომისიას, რომ კომისიისაგან დაპირებულ პირად ხელუხლებლობის მიუხედავად,—საქმით ეს ხელუხლებლობა არ არსებობს, ვინაიდან ძალით იჭერენ და მიჰყავთ სამსახურში,—და სთხოვონ პირად ხელუხლებლობის მინიჭება; 17. მოახსენონ ტფილისის სადგურზე მყოფ მგზავრთა უკიდურესი მდგომარეობა და ამ მგზავრების სამართლიან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება მოსთხოვონ; 18. რაკი რკინის გზის უფროსი, პირველად ჰპირდებოდა ყველას,—ჯარიმები აღარ იქმნებაო, შემდეგ კი დაარღვია ეს დაპირება,—ამიტომ უნდა მოსთხოვონ კომისიას ჯარიმების სამუდამოდ მოსპობა; 19. თანაგრძნობა გამოუცხადონ მოკლულ გიმნაზიელის სომხიევის მშობლებს და მის დასაფლავებას დაესწრონ საერთოდ.

✦ ამ დღეებში ასეთი ამბავი მოხდა: ერთი ვიღაც თავადიშვილი ვაგზლიდან ქალაქში მოდიოდა და ერთის დუქნის კარებიდან გამოსძახეს: „მობძანდი, კნიაზო, დაგვლოცეთო“. კნიაზი დუქანში შევიდა. ღვინო რომ დალიეს, ერთს მიმპატიჟებელთაგანს დახლიდარმა 4 აბაზი ხურდა დაუბრუნა. ეს ხურდა აიღო იმან, შუაზე გაჰყო და კნიაზს შესთავაზა. კნიაზი გაშტერდა. აიღეთ, კნიაზ, ახლა **ძმობაა,** ყველაფერი შუაზე უნდა გავიყოთო. თავადიშვილმა გამოართვა. ახლა შენი ქისა ვნახოთო,—უთხრა ფარაჯიანმა. კნიაზს 50 თუმანი აღმოაჩნდა და ნახევარი დამპატიჟებელმა მოსთხოვა. ბევრი დავიდარაბის შემდეგ კნიაზი იძულებული შეიქმნა ერთი თუმანი ეჩუქებინა.

✦ კავთისხევის **გლეხებს დაუდგენიათ** ქელეხებისა, რიგებისა და სხვა ამგვარ ჩვეულებით ხარჯები აღარ გაიღოს.

✦ გუშინ, 9 აპრილს, ანდრეევის ქუჩაზე საცოდაობა დატრიალდა. ბაბაევის სახლის მესამე სართულიდან გადმოვარდა 7 წლის ბავშვი შილაკაძისა და იქვე სული განუტევა.

✦ ტფილისის მაზრის უფროსის თანაშემწეს ე. გუგუშვილს კაპიტან რეპჩევსკის გამძარცვავი უკვე შეუპყრია. იგი გამოდგა სოფელ შულოვის მცხოვრები—შარისტ თომა-ოღლი.

სადღეისო

ერთობა.

არის ისეთი წუთები, როდესაც ხალხის უმეტესობა საერთო ძალით ცდილობს დიადი მიზნის მიღწევას...

გატაცება ძალას უმატებს ყველას.

ერთობის გრძნობა აორკეცებს გატაცებას და გამარჯვების თავდები ხდება...

ამნაირ წუთებში ვალდებულია ყველა ამოუდგეს გვერდში ხალხის უმეტესობას და ყოველნაირად შეუწყოს ხელი ერთხელვე დასახულ მიზნების მიღწევას.

განზე გადგომა, შორიდან სეირის ყურება ამნაირ წუთებში ცოდვაა,—ცოდვა, რომელიც არ ეპატიება არავის.

განზე გადგომა—იგივე ღალატია, საერთო საქმის ღალატი...

ვინც არ ამომიდგება გვერდში და ჩემთან ერთად არ გასწევს ცხოვრების ჰაპანს,—იგი მტერია ჩემი, ამბობს ხალხი, რომელსაც უნდა, რომ ყოველგან დამყარდეს...

ერთობა!..

ადამიანი არა ჰგავს პირუტყვს იმით, რომ მხოლოდ თავის თავზე არ ჰფიქრობს და უნდა არგოს რითიმე მოძმეს.

ადამიანად არ ჩაითვლება იგი, ვინც თავის მოძმეს არ აგდებს არაფრად, არ ჰფიქრობს მომავალზე და ცდილობს, ცხოვრებაში თანასწორობის გაბატონებას.

ადამიანი საზოგადოების წევრია, ხალხის შვილი და ამიტომ ვალდებულია იფიქროს ხალხზე.

ვალდებულია იმის მოსპობას ეცადოს, რაც უშლის ხელს საერთო ბედნიერებას, არღვევს საერთო ბედნიერებას და თავისუფლების შემზღუდველია...

საქმით, და არა სიტყვით, უნდა ეცადოს იდეალის განხორციელებას დედამიწაზე, ვინაიდან მხოლოდ ლაპარაკი იქ, სადაც საქმეა საჭირო, იგივე უსაქმურობა არის, იგივე განზე გადგომა, შორიდან სეირის ყურება ..

ამის ნებას არავის არ აძლევს...

ერთობა!

სხვადასხვა მდგომარეობაში მყოფი ადამიანი, ღარიბი თუ მდიდარი, უძლური თუ ძლიერი, მონა თუ ბატონი, თავისუფალი ადამიანი თუ სხვის სამსახურში გაჩერებული,—ყველა გაიძახის იმავე სიტყვას, რომელიც ჰქმნის ძალას და ხელს უწყობს იდეალების განხორციელებას...

ეს სიტყვა მეხივით სჩქავს, შიშის მომგვრელი, საზარელია იმათთვის, ვისაც ხალხის ბედნიერება არ მიაჩნია არაფრად, ვინც მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობის სურვილით გატარებულია და მხოლოდ თავის თავს ემსახურება.

ეს სიტყვა, პირიქით, ტკბილია იმისთვის, ვისაც თავი აქვს განწირული საერთო საქმისთვის, ვინც ცდილობს საერთო ბედნიერებას და სამისოდ თავის თავს ივიწყებს და გადის სამოქმედოდ, გვერდში უდგება მოძმეს...

ეს სიტყვა არ არის ახალი, ძველადვე გაისმოდა იგი, მაგრამ ყრუდ, აქა-იქ, შემდეგ იმატა თანდათან და გაიზარდა.

ეს არის—ერთობა!

ერთობა! გაისმის ყველგან...

საერთო ძალის უარისმყოფელი არ არის არავინ და ამიტომ არ შეიძლება ვინმემ უარჰყოს ერთობა.

ერთობის დამყარებით ცდილობენ ბედნიერების მოპოვებას დედამიწაზე.

ერთობის ძებნაშია გართული მთელი კაცობრიობა.

ერთობა აადვილებს იდეალების განხორციელებას...

ერთობა ჰქმნის საერთო კეთილდღეობას...

ყველგან და ყველაფერში—ერთობა, ყველგან იგივე სიტყვა, იგივე მისწრაფება, იგივე გრძნობები...

ერთსულად და ერთხორცად ქცეული საზოგადოება იძახის,—ერთობა, ერთობა!..

და ამ სიტყვით გატაცებული ხალხის უმეტესობა ხელი-ხელ ჩაკიდებული მოქმედობს, შრომობს, იბრძვის უკეთეს მომავლისათვის და უნდა, რომ სამუდამოდ დამყარდეს დედამიწაზე...

ერთობა!

შორს, უდაბნოში, დაბურულ ტყეში მიმალულა ერთი ადამიანი...

შორიდან უყურებს ცხოვრებას, არ ერევა საერთო ფერხულში, არ უნდა სხვებთან ერთად იმოქმედოს და იბრძოლოს...

ლოცულობს...

გულ-ხელ დაკრეფილი ლოცულობს...

ეხვეწება თავის ღმერთებს ბედნიერების დამყარებას დედამიწაზე.

თაყვანსა სცემს კერპებს და დახმარებას სთხოვს—ლოცვითა და მარხულობით დაქანცული..

მაგრამ არ იძვრიან კერპები, არა სჩანს მათი წყალობა და მათი თაყვანისმცემელი. ლოცვა-ვედრებაში გართული, ვერ ხედავს, რომ ცხოვრება თავის გზას ადგია. და რომ მისი ლოცვა კერპებთან უსარგებლოა ხალხისთვის...

ცხოვრება მოითხოვს საქმიანობას და არა სიტყვას და გარედან განყენებულ მსჯელობას, მოითხოვს საერთო მოქმედებას ყველასაგან...

ამას ივიწყებს ყველა, ვინც ცდილობს გაჩერდეს განზე, გარედან უყუროს სეირს, სხვის უბედურებას და მხოლოდ შორიდან იძახის: ერთობა, ძმობა!,,

სიტყვის დრო წავიდა...

საქმედ ქცეული სიტყვა ქუჩა-ქუჩა დაიარება, ღარიბ ოჯახში შედის, შედის ჩაგრულთან, შედის იმათთან, ვინც არის იძულებული გამუდმებულის შრომით მოიპოვოს დღიური სარჩო...

და ჩაგრულ ღარიბთა გულში ის სიტყვა,—ქცეული საქმედ,—ახალ გრძნობებს აღვიძებს, ახალ სურვილს ჰქმნის, ახალ გზაზე აყენებს ყველას, ვისაც კიდევ არა აქვს დავიწყებული, რომ იგიც ადამიანია, რომ მასაც აქვს ადამიანურ ცხოვრების უფლება, ვინც იცის, რომ უნდა მოისპოს დედამიწაზე ერთმანეთის დაჩაგვრა და ყოველნაირი უსამართლობა...

ჰგრძნობს ამას ყველა და ეს გრძნობა ძალას ჰქმნის, ახალ ძალას, რომელმაც უნდა შეჰქმნას ახალი ცხოვრება და ააშენოს ის დიდებული შენობა, რომელსაც ექმნება ნათელი, ბრწყინვალე წარწერა—ერთობა!

ნ. ნ.

ქართლის ამბები

ს. ქარელი. ადამიანი სიამოვნებს, როცა უცქერის ამ საერთო მოძრაობას, რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში მოედო მთელს ქართლს; როცა ხედავს, რომ გუშინდელი მონა, გუშინდელი უურმოჭრილი ყმა, დღეს ამდგარა და თხოულობს თავის პიროვნების

ვებს. . გვერდით მეორე გიდგას—იმასაც გასჭიმავ. აი, კიდევ მესამე, მეოთხე და ასე ამგვარად გზავნი საიქიოსაკენ. შენ რა იცი—ჯერ არ გამოგიცდია ეს სიამოვნება... ესეც არ იყოს, ჩვენ მოვალენი ვართ ხანისათვის ვიზრუნოთ, ჩემი ხელობა ეს არის—ამით ვემსახურები სახანოს. ვინც უნდა იყოს, თუნდ ჩემი შვილიც, რაკი ქვეყნისთვის მავნებლად ვსთვლი, უნდა დაისაჯოს... რაკი ხელში ჩამივარდება—მორჩა!.. მე ჩემი კანონი მაქვს—თოკი და მისი ჯანი!.. ეჰ, ოცდა-ხუთი წელიწადია, ამ საქმეს ვემსახურები და, ვინ მოსთვლის, რამდენი თავი გავახმე! რამდენიმე სხვადასხვა ხერხი ვიცი... დამნაშავეს გააჩნია—ვინ რომელი ხერხით უნდა დაისაჯოს... მაშ!—დაასრულა აბდულამ და ენა გაატკაცუნა.

— რამ გაიძულა გეკისრნა ეს საზარელი ხელობა?—ჰკითხა ტყვემ.

— წინად მეც საზარელი მეგონა, მაგრამ ახლა სასიამოვნოდაც მიმაჩნია. რაც მეტი მუშაობა მაქვს,—იმდენ მეტს მაჭმევენ... რაც ბევრს ჩამოვახრჩობ,—მეტი ტანისამოსი მრჩება... რასაც დასჯილს გავხდი—ყველაფერი ჩემია.

ჩემი თავგადასავალი გრძელია, მაგრამ მოკლედ გეტყვი. როდესაც სპარსელებმა გურჯისტნი დაიპყრეს, რამდენიმე ათასი კაცი დაგვატყვევეს და აქ ჩამოგვერეკეს. ერთ დღეს გამოგვიყვანეს დიდ მოედანზე, დაგვამწკრივეს. გამოვიდა ხანი და დაიყვირა: „ვინც ძლევა-მოსილ ისლამს მიიღებს, ცოცხალი დარჩება, ვინც არა—მოკვდება. მსურველნო, წინ წამოდექით!“-ო. გავიხედე—არავინ იძვრის. სული მწარეა, ჩემო ძმაო!.. გამოვედი. ხალხმა დაიგმინა... „მარტო შენა ხარ გონიერი ამდენ ხალხში?“—მკითხა ხანმა. «დიახ»-მეთქი. „მაშ იმედია, სამსახურს გაგვიწევ და ამ ურჩებს დახოცავო“. აქ ცოტათი შევკრთი, მაგრამ თავი შევიმაგრე. ,,ესეც შემიძლია-მეთქი‘‘. ხალხმა დაიწყო წყევლა-კრულვა. ვითომ შემაჩვენა... „რჯულის მოღალატევ!.. მოძმის ჯალათო!.. ჰა, ჰა, ჰაა! თითქო მე თუ კარგად ვიქნები—რჯული სულ ერთი არ არის.. ყური აღარ დავუგდე იმათ უბედობას და... გაგორდა თავები... მაშინვე დიდი ნიჭი გამოვიჩინე. გარეგანი შეხედულებაც კარგი მქონდა, ხელობის შესაფერი. ერთის მოქნევით თავი ძირს ეგდო. სამშობლოში დამრჩა ცოლი და ერთი ვაჟი... ამბობენ—ისინიც დაატყვევესო... მაგრამ ეს სულ ერთია... ჰო და, ეგრე. რახან კარგი გამოვდექი, მას მერე ამ ხელობაში ვარ და თავებს ვახმობ! ხომ იცი, ურჩი უნდა დაამშვიდო, ყბედი დააჩუმო და მოჭარბებული სისხლი გააჩერო.

განა არ ვიცი—ხალხს ვეჯავრები, ხელში თუ ჩამიგდეს, გამწიწკნიან და გამოდმებით ამ ოთხ კედელ შუა ვზივარ, მაგრამ მაინც კარგადა ვარ... ვსვამ, ვჭამ, მძინავს.. აქედანაც კი შიშის ზარსა ვცემ იმ მხდალ ბრბოს... თვე ისე არ გაივლის, ვისმეზე ხელი არ მოვიფხანო... მეტი არა მინდარა. ამ ბოლო დროს როგორღაც შეთხელდა, ძველებურად აღარ არის, მაგრამ მაიმედებენ-კი—დიდი მუშაობა მოგველისო... ვნახოთ, ღმერთმა ქნას!—დაასრულა აბდულამ, ხელები შეისრისა და ცალფეხზე შემოტრიალდა.

— აბდულ!—დაუძახეს გარედან.

— ჰა!—გამოეხმაურა ჯალათი.

— მოგდის, ლუკმა მოგდის!..

— ძლივს!—დაიძახა გახარებულმა აბდულამ და თოკის მოსატანად თავის ოთახისაკენ ხტუნვით გაეშურა.

დარაჯებმა დაქანცული, ფერ-მიხდილი ყმაწვილი შემოიყვანეს.

— აბდულ!—დაუძახა ზედამხედველმა.

— ახლავე, მოვდივარ! როგორ გვიბრძანებთ?

— ძალიან სასტიკად! ამას უნდოდა ციხე გატეხა და ტყვეები გაენთავისუფლებინა... ხანის წინააღმდეგ ხალხს აჯანყებდა. ჯერ სასტიკად აწამე.

— ფიქრი ნუ გაქვთ, ბატონო!..

იქ მდგომთ კარგად იცოდნენ აბდულას სასტიკი წამება და, რომ ამ საცოდაობისათვის არ ეყურებინათ, ყველანი თავთავიანთ საკანისაკენ გაეშურნენ.

— ააა... ხალხის ამრევო... ბატონო... ყმაწვილო... ხანის ორ გულო...—სიბრაზისაგან ნაწყვეტ ნაწყვეტად ამბობდა აბდულა და საწამებლად ემზადებოდა.

ყმაწვილი იდგა გაფითრებული. საბრალოს თავი დაეხარა, ფერი წასვლოდა.

— აბა, მობრძანდი!—დაიღრიალა გამხეცებულმა აბდულამ და ყმაწვილს ხელი მოჰკიდა... ჯალათს ხელში ღონე აღარ ჰქონდა... შეხედა თვალებში და გველ-ნაკბენივით უკან დაიწია. გულში საშინელმა ფიქრმა გაუელვა. დიდხანს იდგა გარინდებული, თვალებში მისჩერებოდა და რაღასაც ბუტბუტებდა .. ისმოდა მხოლოდ—ხა... ლი... ხა. .ლი...

ყმაწვილი ხედავდა ჯალათის სისხლით სავსე თვალებს და ზიზღით ივსებოდა.

აბდულა მივარდა ყმაწვილს და პერანგი გახადა... მარცხენა მკერდზე **ხალი** ჰქონდა.

— ისკანდერ!..—გიჟივით დაიყვირა აბდულამ და შვილისაკენ გაექანა, მაგრამ შვილმა გულზე ხელი ჰკრა.

— იქით!..

ჯალათი დაბარბაცდა და მუხლებზე დაეცა. მისი თვალები ვერ შორდებოდა ხალს... მოაგონდა, რამდენჯერ სიყვარულით დაწაფებია თავის სანდროს პატარა მკერდს და ხალზე უკოცნია. ეს იყო მისი საყვარელი ადგილი შვილის ნორჩ ტანზე. რამდენჯერ უთქვამს ცოლისათვის: ვისაც მარცხენა მკერდზე ხალი აქვს—დიდ გაჭირვებას გამოივლის, მაგრამ ბოლოს მაინც ქვეყანას განსაცდელისაგან იხსნის და დიდ სახელსაც მოიხვეჭსო... ამ ტკბილ ოცნებაში რამდენჯერ ჩასძინებია აბდულას შვილის გვერდით... ახლა კი ეს პატიოსანი შვილი ჯალათ მამის წინ იდგა და სასჯელს მოელოდა. აბდულას თავის ხელით უნდა ჩაება შვილისათვის კისერზე თოკი...

აბდულამ იცოდა, ვიღაც ჭაბუკი ხალხს აჯანყებს, ციხის გატეხას ლამობს, უფროსებს ეურჩება და ბევრი ხალხიც მიიმხროო, მაგრამ არ იცოდა, ვინ იყო. კბილების ღრჭენით ამბობდა—როდის ჩავიგდებ ხელში იმ ურჩს, რომ ჩემებურად ვაწამოო, და, აი, ახლა წინ ედგა, მაგრამ ხელი მაღლა ველარ აეწია.

ქვეყნის ჯალათი, ხალხის სისხლის მღვრელი, რომლის სახელის გაგონებაზედაც ყველანი შიშით ძრწოდნენ,—დამცირებული, გათახსირებული, პირქვე დამხობილი ეგდო, თრთოდა, კანკალებდა...

— ისკანდერ, შვილო, მაპატიე.. გევედრები,—ტირილით ევედრებოდა და იატაკზე ხოხავდა.

შვილი დასჩერებოდა თავის გადაგვარებულ მამას. რამდენი ზიზღი და სიბრალული ეხატებოდა იმ წუთში სახეზე!.. არ იცოდა, რა ეთქვა, რა სიტყვებით მიემართნა... მშობლიური გრძნობა და მტარვალისადმი ზიზღი ერთმანეთში არეულიყო ყმაწვილის უმანკო გულში, ბობოქრობდა... ებრძოდა თავის გრძნობას. თვალწინ დაუდგა მისგან დაღვრილ უმანკო მსხვერპლთა აურებელი სისხლის მორევი, თითქო ესმოდა იმათი კვნესა, ხედავდა იმათ ტანჯვისაგან დაღმეჭილ სახეს, თითქო ყურებში ჩასჩურჩულებდნენ: გამაგრდი, არ აპატიო, დეე, მტარვალი დაისაჯოსო. ყმაწვილის გულში უსაზღვრო ზიზღი გამეფდა.

— საზიზღარო!..—დაიყვირა გონზე მოსულმა,—ვისა სთხოვ პატიებას? განა შენ ვის აპატიე? შენთვის ვიბრძოდი... მინდოდა შენთვის თვალები ამეხილა და გამენთავისუფლებინე ამ სამარცხვინო ხელობიდან. შენთვის თავდადებულნი შენისავე ხელით აწამე, დაალრჩე... გონება-დაკარგულმა არ იცოდი, რას ჩადიოდი, ვის აწამებდი, ვის ჰკლავდი... თურმე ვცდებოდით.. შენ ხომ, სისხლით დამთვრალს, გამოფხიზლება აღარ გინდა... არ გინდა განიბანო ადამიანის სისხლისაგან... მაგრამ განა შესაძლებელია ამოდენა სისხლის განბანა? რითი? რომელი კეთილი საქმე შეგიძლიან ზნეობით გახრწნილს, მოძმის ჯალათს!?. რჯული გაჰყიდე და სახელოვან სიკვდილს ჯალათობა არჩიე... ვწუხდი, მრცხვენოდა, არც ვამხელდი, რომ შენ ჩემი მამა იყავი; საუბედუროდ, ეს წყეული ხალი გამომყვა შენი, სხვა კი მადლობა ღმერთს—არაფერი. რა გაპატიო? აშოდენა ხალხის წამება და სიკვდილი? ამდენი უმანკო სისხლის დაღვრა? ისიც ვისთვის? შენთვის, შესულმდაბლო! მაგრამ კიდეც რომ განთავისუფლდე და ამ სისხლის ტბიდან ამოგიყვანო, შეგიძლიან განა უსისხლოდ ცხოვრება? განა დაგეძინება ისე, რომ ადამიანის კვნესამ ნანა არ გითხრას?.. ამდენი ხანი შენგან წამებულის ხალხის ოხვრა და გმინვა გესმოდა და არც ერთხელ სიბრალული არ გიგრძვნია და ახლა როგორ შესძლებ?.. ადექ, ნულარ აყოვნებ, შეუდექ შენის საზიზღარის მოვალეობის აღსრულებას, ხანის სამსახურს!..

ჯალათი გაბრაზდა, სახე აენთო, თვალები დაუსისხლიანდა და წამოვარდა.

— ძაღლის ლეკვო! მაგ ურჩობისათვის გაწამებ, დაგახრჩობ!—დაიღრიალა და გააფთრებული მივარდა.

— ვიცი,—გაბედვით უპასუხა ყმაწვილმა,—ამით ვერ აღმოფხვრი ხალხის გულიდამ შენდამი ზიზღს—უფრო გაამწვავებ... სამაგიეროს ჩემი ამხანაგები გადაგიხდიან და ძალიან მალეც.

ჯალათი გამხეცდა. მისი თავმოყვარეობა შელახული იყო. მივარდა, თავზე უნდა ხალათი ჩამოეცვა, მაგრამ შეხედა ხალხს და აკანკალებულმა უკან დაიხია.

საშინელი ხმაურობა მოესმა.

ყმაწვილს ერთ წუთს სახეზე იმედი გამოეხატა, თვალები გაუბრწყინდა, მაგრამ შეხედა სახრჩობელას და სასოწარკვეთილებით თავი დახარა.

— აბდულ!—შემოიჭრა ჯალათი, დაუჩქარე...

აღელვებული ხალხი ხელში კეტებით ციხისაკენ მიექანება. თავს უშველე...

— ღმერთო ძლიერო!.. აღმოხდა ყმაწვილს...

აბდულა გონება-დაბნეული იდგა. მისი თვალები მისჩერებოდა მხოლოდ ერთ წერტილს—ხალს... ხმაურობა თანდათან ახლოვდებოდა.

„შეამტვრიე... დალეწე... ცეცხლი წაუკიდე... ცოცხალს მივუსწროთ... ყვიროდა ხალხი.

ჯალათი გარინდებული იდგა და შვილს თვალებში მისჩერებოდა... თრთოდა, ცახცახებდა... უნდა მივარდნილიყო, მოეკლა, მაგრამ ყურში რაღაც ხმა ესმოდა. „ხალი...ხალი...შვილი...

ეზოში შემოვიდნენ. ჩხრიალი გაისმა. ჩქარა ცოცხალს მივუსწროთ... ჯალათი მოჰკალით... ჯალათი...

აბდულა გამოფხიზლდა. აშკარად გაიგო—მის მოსაკლავად მოდიოდნენ.

მამის გრძნობამ ვეღარ დასძლია გამხეცებული ჯალათის გული... გააფთრებული მივარდა შვილს, ქორივით აიტაცა მაღლა და კისერზე თოკი ჩამოაცვა...

— აჰა... გაიხარეთ... ძაღლებო... კბილების ღრჭენით დაიყვირა და თავის ოთახისაკენ გაექანა.

— მოჰკალით... ჯალათი მოჰკალით...

ხალხი საკანში შემოიჭრა.

ყმაწვილი საცოდავად იგრიხებოდა, ენა გადმოეგდო და თვალები დაეხუჭა.

მიცვივდნენ და თოკი ჩამოსჭრეს.

დამტვრეულ ფანჯრებსა და კარებში ცივი ნიავი შემოიჭრა. დაჰბერა ყმაწვილის გახურებულ შუბლს. ყმაწვილმა თვალი გაახილა. იგი ცოცხალი იყო.

— ჯალათი... ჯალათი... ამოიკვნესა მან. ერთი ჯალათის ოთახში შევარდა, მაგრამ წამსვე გამობრუნდა და წყენით წარმოსთქვა:

— ჯალათს თავი ჩამოუხრჩვია!.

ვალიკო გურული.

ხელშეუხებლობას, თხოულობს, რომ იგი იცნონ ადამიანად და დაუბრუნონ მას ის უფლებები, რომელიც მას ეკუთვნის, როგორც ადამიანს.

სასიამოვნოა, როცა ადამიანი ჰგრძნობს ამ საზოგადო ცხოვრების გაზაფხულის მონაბერ სიოს. ახლა ისე ვერ გაივლით სოფელში, რომ მომავლის სანუგეშო იმედები არ აღგვძრათ და გულმა რაღაც ტკბილის გრძნობით არ დაგიწყოთ ძგერა, როცა დაინახავთ ქართველ გლეხს, რომელიც ეძებს თავისუფლებას...

სასიამოვნოა ყველა ეს!

სამწუხაროა ის არის, რომ გლეხს ჯერ კიდევ არ შეუძლიან ხმამაღლა გამოთქვას თავისი სურვილი, არ იცის, როგორ შეებრძოლოს ხალხის მჩაგვრელ ძალას; სამწუხაროა, რომ ამისთანა დროს მას აკლია გამოცდილება.

ამ დღეებში ქარელში მომიხდა ყოფნა. ეხლა აქ გზატკეცილი არის ჩაყენებული. 28 მარტს ამოვიდა აქ ნახევარ როტა ქვეითი ჯარი და 50 კაზაკი, რომელთაც მეორე დღეს კიდევ 50 კაზაკი მოემატათ. რასაკვირველია, სადაც კარგი ხარი, ძროხა, ღორი ან სხვა რამ არის, სულ იმათია. ერთს დღეს დაიძახეს სოფელში, იარაღი ხომ არა გაქვთო; იარაღი კი ვერ იპოვეს, მაგრამ ნიგოზი, კრბო, კვერცხი და მურაბა კი ბევრი წაიღეს. 1 აპრილს გორის მაზრის უფროსი ამოვიდა ქარელში და დაიბარა აქაური გლეხ-კაცობა,—მითხარით თქვენი სათხოვარიო. მაგრამ სად იყო აქ ის შეგნებული ლაპარაკი, ის ნამდვილი ანალიზი თავის ცხოვრებისა, რომელიც ისე ასიამოვნებდა კაცს, როცა ის წაიკითხავდა ყირიმ-გორიელის მოგზაურობას გურიაში? ბოლოს მაზრის უფროსმა უთხრა ხალხს: ასე თქვენც გაგიწყდებათ ზოგი სათხოვარი, მეც ვერ დავიხსომებ ბევრსაო, და ამიტომ სჯობია, ქაღალდი შემოიტანოთო. გუშინ, 3 აპრილს, მაზრის უფროსი კიდევ იყო აქ და ქარელის გლეხკაცობის რწმუნებულებმა გადასცეს მას შემდეგი მოთხოვნილებანი:

„ენა ვერ გამოთქვამს და კალამი ვერ აღწერს იმ უბედურებას, სიღარიბე-სიღატაკეს და უსამართლობას, რასაც ჩვენ ძალა-უნებურად ვითმენთ. კანონი ჩვენთვის არ არის და სამართალი. ბატონი, უბრალო პოლიციის მოხელეს შეუძლიან უდანაშაულოდ დაგვწიოკოს ჩვენი ოჯახი, შეგვახოს, ტალახში ამოსვაროს ჩვენი პიროვნება, ჩვენი ადამიანობა, გაგვწბილოს, წაბილწოს ჩვენი ზნეობრივი გრძნობა, ჩვენი წმიდათა-წმიდა. ჩვენ არა გვაქვს საკმარისად პური, რომ გვაძღოთ კუჭი და სიმშილით არ ამოგვწყდეს ცოლ-შვილი, თუმცა დილიდან საღამომდის თავ-აუღებლად ჩავცქერით მიწას და დაუსვენებლივ ვშრომობთ. ჩვენ ვშრომობთ, ვიღვწით, ოფლს ვიწურავთ, ნაყოფი კი სხვას მიაქვს. ჩვენ გვცივა და არა გვაქვს ტანისამოსი, რომ შევიმოსოთ ტიტველი ტანი. კმარა, გვეყო ამოდენა უძლურობის ატანა, ამდენი ხანი უენოდ, პირუტყვივით სხვისთვის შრომა, მოგვეცით შეძლება, ახლა ჩვენთვის ვიმუშაოთ. ჩვენ აღარ შეგვიძლიან ასე ცხოვრება უსამართლოდ და უკანონოდ, მშიერ და მწყურვალთ. ამიტომ ჩვენ ავირჩიეთ ათი რწმუნებული, რომელთაც დავავალეთ გადასცენ გორის მაზრის უფროსს, რომ ჩვენ ვთხოულობთ:

1) ნადელები გლეხებს უსასყიდლოდ მიეცეთ; ხოლო ვისაც ნადელი შეუსყიდნია, იმას ფული დაუბრუნდეს და ნადელიც იმასვე დარჩეს.

2) სახაზინო და საეკლესიო მამულები ადგილობრივ მცხოვრებ გლეხებს გადაეცეთ დასამუშავებლად. ამასთანავე მათ შეეძლოთ ამ ადგილების გაყიდვა-დაგირავება, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.

3) რადგან ადგილის სივიწროვის გამო მამული ჩვენც არა გვყოფნის, ამიტომ სხვა ეროვნებათა დასახლება საქართველოში სახაზინო მამულებზე აიკრძალოს და ის მამულები ჩვენ გადმოგვეცეს.

4) ოჯახისთვის მოსახმარად საჭირო ხის მასალის და შეშის მოჭრა ტყეში ყველას უფასოდ შეეძლოს.

5) აგრეთვე უფასო იყოს საძოვარი ადგილიც და გლეხებს საბალახო არა ხდებოდეთ.

6) თუ გლეხ-კაცს თავისი მამული არ ეყოს და იგი იძულებულია მემამულეს გამოართვას მიწა, დალა მიეცეს მას მხოლოდ მეათედი ნაწილი მოსავლისა; მემამულე ვალდებული იყოს თავისი ხარჯით წაიღოს თავისი წილი მინდვრიდან.

7) მოისპოს ყოველგვარი ბეგარა მემამულეთა სასარგებლოდ, როგორც, მაგ., ძღვნის მიტანა, გუთნით, ურმით და მუშა ხელით მიხმარება.

8) სარწყავი წყალი საზოგადოა და ყველას უნდა შეეძლოს მისი მოხმარება უფასოდ, რაც აქამდის არ იყო.

9) წყალის ნაპირი საზოგადო კუთვნილება იყოს და ყველას შეეძლოს მისი უფასოდ მოხმარება: ქვისა, ლამისა და ქვიშის წაღება, თევზის ჭერა, ხიდის ანუ ბორნის გაკეთება საზოგადოების მიერ, რასაც ეხლა უშლიან კერძო პირები.

10) ეკლესიის ყურადღება დაევალოს თვით ეკლესიასვე თავის ხარჯზე.

11) მღვდელსა და მრევლს შუა რომ სამუდამო კეთილ-განწყობილება დამყარდეს, მღვდლებს დაენიშნოთ ხაზინიდან ჯამაგირი და არავითარი ნივთიერი დამოკიდებულება არ ჰქონდეს მღვდელთან გლეხს.

12) შარა-გზების გაკეთება და არხების გაყვანა დაეკისროს ხაზინას.

13) გაუმჯობესდეს მოჯამაგირის მდგომარეობა: გაუქმდეს ყოველ-გვარი ბატონ-ყმური დამოკიდებულება მოჯამაგირესა და ბატონს შორის; მაგ., არა-ადამიანური მოპყრობა ბატონისაგან, მცირე სამუშაო ქირა და სხვ.

14) ბატონს არ შეეძლოს უმიზეზოდ მოჯამაგირის დათხოვნა: ის მოვალე იყოს შეატყობინოს დათხოვნის ორი კვირის წინად; აგრეთვე მოჯამაგირეც მოვალე იყოს შეატყობინოს ბატონს თავის წასვლის ორი კვირის წინად. მოჯამაგირეს ავადმყოფობის დროს მიეცეს ერთი თვის ჯამაგირი.

15) გლეხთა საზოგადოებას დაუბრუნდეს ფონდის დასაარსებლად ის ფული, რომელიც მათგან წაიღეს ნადელის დასახსნელად (ამ ფონდის დანიშნულება იქნება დააკმაყოფილოს გლეხთა სხვადასხვა მოთხოვნილებანი).

16) აღნიშნულ ფონდის მისამატებლად დაუბრუნდეს გლეხებს სამადაზიო გადასახადი, რომელსაც ისინი იხდიან, ეს რამდენიმე წელიწადია.

17) მოისპოს საერობო დარაჯნი (სტრაჟნიკები) და მათ შესანახად დაწესებული გადასახადები.

18) მამასახლისს ირჩევდეს გლეხთა საზოგადოება პოლიციის დაუხმარებლად.

19) მამასახლისს ჯამაგირი ხაზინიდან ეძლეოდეს.

20) მოგვეცეს თავისუფლება სიტყვისა, კრებისა, გაფიცვისა, კავშირებისა და ბეჭდვისა.

21) მოისპოს განსაკუთრებითი წოდებრივი უფლებანი და კანონის წინაშე ყველა იყოს თანასწორი წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად, როგორც სახელმწიფოს თავისუფალი მოქალაქე.

23) ჩვენი პიროვნება და ოჯახი ხელშეუხებელი და პოლიციის ძალ-მომრეობისაგან დაფარული იყოს; პოლიციას არ შეეძლოს ჩვენი ცემა, ოჯახის დაწიოკება-დარბევა და სხვა.

24) მოგვეცეს უფლება მოხელეების პასუხის გებაში მიცემისა სასამართლოს წინაშე.

25) მოისპოს არა-პირდაპირი გადასახადი, როგორც, მაგ., ბაჟები სპიჩკაზე, ნავთზე, შაქარზე, სამეურნეო იარაღზე და სხვა საჭირო ნივთებზე.

26) მოისპოს აქციზი არაყზე.

27) ჯარში გაწვეულნი არ იგზავნებოდნენ შორეულ ადგილებში, რადგან ისინი ვერ იტანენ უცხო ჰავას და უდროვოდ ესალმებიან წუთისოფელს. ისინი უნდა რჩებოდნენ ისევ საქართველოში.

ყველა ამ უუფლებობასა და გაჭირვებას ზედ ერთვის კიდევ ის, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან სამშობლო ენაზე სწავლა; ჩვენ არა გვაქვს ამისი ნება, არ შეგვიძლიან სამშობლო ენაზე სამართალში პასუხის გება. ამიტომ ჩვენ ვთხოულობთ:

28) სწავლა სწარმოებდეს სამშობლო ენაზე და იყოს უფასო 16 წლამდის. რუსული ისწავლონ მხოლოდ როგორც კერძო საგანი.

29) სასამართლოში და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში იხმარებოდეს ყოველნაირ საქმის წარმოებაში ქართული ენა, რომ გლეხ-კაცს შეეძლოს გაიგოს, რას ეუბნებიან მას, და პასუხი მისცეს თარჯიმნის დაუხმარებლად.

30) ამ არეულობის გამო არავინ დაისაჯოს.

ამ კრებებზე იყვნენ დაპატიჟებული ზემო და ქვემო-ხვედურელები, ჭანდრელები, სკრელები და სხვანი, რომელთაც სრული სოლიდარობა და თანხმობა განაცხადეს ქარელების მოთხოვნილებებზე. შემდეგ სოფლებმა ძველებურად, მაზრის უფროსისავე რჩევით, აირჩიეს მამასახლისები თავთავისთვის და შემდეგ შეკრებილი ხალხი დაიშალა.

გ. ნამორაძე.

პრესსა

გაზ. „ნოვოე ვრემია“, რომელიც საზოგადოდ კარგად იცნობს მთავრობის აზრებს, ახლა აცხადებს:

> „ჯერ არ ყოფილა ისეთი სულელი მთავრობა, რომელსაც თვითონ მოეწვიოს დამფუძნებელი კრება, მთავრობისაგან ამნაირ კრების მოწვევა იმის ნიშანი იქნებოდა, რომ მთავრობა თავის თავს უვარგისად სცნობს.

ამიტომ, გაზეთის აზრით, საფიქრებელიც არ უნდა იყოს დამფუძნებელ კრების მოლოდინი რუსეთში.

მეორეს მხრივ, სხვა გაზეთები, როგორც, მაგ. „რუსსკია ვედომოსტი“ აცხადებს,—მეტი მოცდა არ შეიძლებაო,—

> „შეიძლება განა მოცდა მომავალის იმედით, გაჩერება ისეთ პირობებში, როგორიც ახლაა“. საჭიროა, ახლავე დამშვიდდეს ხალხი, დამშვიდდეს სოფელი, დამშვიდდეს ინტელიგენცია, მიეცეს ყველას უკეთეს მომავალის იმედი. საამისოდ კი საჭიროა, 18 თებერვლის რესკრიპტის თანახმად, კრების მოწვევა ახლანდელ მდგომარეობის გამოსარკვევად. ხალხისაგან არჩეული, მისი სანდო პირები უნდა შეჰკრიბოს დაუყონებლივ მთავრობამ.
>
> დაჩქარებაა საჭირო! დაჩქარება, მანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან! ახლანდელ მდგომარეობის მოსპობა არ შეუძლია განსაკუთრებულ კანონებს, არ შეუძლია გაძლიერებულ დაცვის წესებს,—საამისოდ საზოგადო ძალთა დახმარებით სახელმწიფოში დაუყოვნებლივ სხვადასხვა ცვლილების შემოღებაა საჭირო. რას იზამს „კომისიები“?—საჭიროა ხალხის წარმომადგენელთა მოწვევა და მათი ცოცხალი შრომა!..

რუსეთი

გერმან. გაზეთ „ტაგ. რუნ“-ში დაბეჭდილია კორესპონდენცია პეტერბურგიდან შემდეგის სათაურით: **„რუსეთის მომავალი პარლამენტი“.** ამ წერილის ავტორმა ზედმიწევნით იცის რუსეთის ცხოვრება, სულ ბიუროკრატთა შორის ტრიალებს და აქამდის ყოველი მისი წინასწარმეტყველება მართლდებოდა. კორესპონდენტის სიტყვით, ერთმა ბობოლამ შეადგინა მომავალ პარლამენტის გეგმა, რომელიც უმაღლესმა მთავრობამ მოიწონა და დაამტკიცა. მომავალი პარლამენტი ასე იქნება მოწყობილი: პარლამენტი ორ განყოფილებისაგან შესდგება—სახელმწიფო საბჭო (ზედა პალატა) და სახელმწიფო საკრებულო (ქვედა პალატა). ზედა პალატა შესდგება 120 წევრისგან; 60 დეპუტატი ევროპის რუსეთის თავად-აზნაურთაგან ამორჩეული (ციმბირსა, პოლონეთსა და ფინლიანდიას წარმომადგენლები არ ეყოლებათ) და 60 დანიშნული. სახელმწიფო საკრებულოში იქნება 643 დეპუტატი. მათ შორის 364 დეპუტატი იმ გუბერნიებიდან იქნებიან, სადაც ერობაა შემოღებული, 72 დეპუტატი ჩრდილოეთ დასავლეთის 19 გუბერნიიდან, 50—პოლონეთიდან, 32—ფინლიანდიიდან, 30—კავკასიიდან, 30—ციმბირიდან, 15—ბალტიის მხრიდან და 15-ც—შუა აზიიდან. გარდა ამისა, 8 დიდი ქალაქი (პეტერბურგი, მოსკოვი, ვარშავა, ოდესა, კიევი, ხარკოვი, რიგა და ლოძი) ამოირჩევენ 20 დეპუტატს, მართლმადიდებელი სამღვდელოება—10, დანარჩენ სარწმუნოების სამღვდელოება (კათოლიკენი, პროტესტანტები, ებრაელები, სომხები და მაჰმადიანები)—5. ზედა პალატაში საარჩევნო ხმა მხოლოდ მინისტრებს არ ექნებათ, რადგან მინისტრებს ადგილი და ხმა ქვედა პალატაში მიეცემათ. ქვედა პალატა ირჩევს აღმასრულებელ კომიტეტს (118 კაცს), რომელმაც პალატას მასალები უნდა მოუმზადოს, ქვედა პალატის დადგენილებანი მთავრობას უნდა გადასცეს, ზედა პალატას უნდა მოელაპარაკოს და სხ. ქვედა პალატაში არჩევა ორნაირი იქნება: თითო საერობო გუბერნიიდან ერობა (საგუბერნიო თუ სამაზრო?)—3 დეპუტატს აირჩევს, ორს—თავადაზნაურთა კრება, თითოს—ვაჭრები და სამ სამს—გლეხები. იმ გუბერნიებში, სადაც ერობა არ არის შემოღებული, არჩევა არაპირდაპირი იქნება, ისეთი, როგორიც გერმანიაშია. ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარეში გლეხები და თავადაზნაურები სამ-სამ დეპუტატს აირჩევენ, ქალაქები და ვაჭრები კი—თითო-თითოს. ფინლიანდიის დეპუტატებს იქაური სეიმი აირჩევს. დიდ ქალაქების წარმომადგენლებს ქალაქის საბჭოები დანიშნავენ. ციმბირს თითო გუბერნიიდან ორი ქალაქის წარმომადგენელი ეყოლება და თითოც გლეხებსა და ვაჭრებისაგან. არჩევის უფლება აქვს რუსეთის ყველა ქვეშევრდომს, გარდა იმათი, ვისაც უფლებანი ჩამორთმეული ექნება. სამხედრო პირების არჩევა არ შეიძლება. კორესპონდენტის სიტყვით, ამ პროექტში აღნიშნული არ არის, აქვთ თუ არა დეპუტატებს საკანონმდებლო ხმა და ხელუხლებელი იქნებიან ეს დეპუტატები თუ არა. (რ. ვ.).

✦ ამას წინად პუტილოვის ქარხანაში, სადაც 7000-მდე მუშაა, ადმინისტრაციის დაუდევრობით კრანი გადავარდა და 25 კაცი დაასახიჩრა და დახოცა. მუშებს ერთ მოკლულ მუშის დამარხვაზე დასწრება უნდოდათ, მაგრამ ქარხნის დირექციამ ნება არ მისცა. მუშებმა სამუშაოს თავი დაანებეს და წავიდნენ, მაგრამ მკვდარი პოლიციამ ჩუმად დამარხა. მუშები უკანვე დაბრუნდნენ. კარებზე დირექტორს განცხადება გამოეკრა,—სადაც ნათქვამი იყო,—რადგან მუშებმა თავის ნებით დაანებეს სამუშაოს თავი და ქარხანა შეაჩერეს, ამიტომ **ქარხანას ვკეტავო.** ისე, კალმის ერთის მოსმით 7,000 მუშა გარედ გამოყარეს (რ. ვ.).

✦ ამჟამად პეტერბურგის მუშებში გაცხარებული **აგიტაციაა:** 6,000-მა მუშამ დაადგინა, სახაზინო არაყს ნულარ დავლევთო. ამ დადგენილებას ყოველ დღე ათასი მუშა უერთდება (რ. ვ.).

✦ ვარშავის პოლიცმეისტერმა ბრძანება გასცა: ყველა **საპოლიციო ნაწილი გაზეთ ,,გრაჟდანინ''-ს უნდა იწერდეს** და ამ გაზეთს ყველა პოლიციელი უნდა კითხულობდესო. გაზეთს ქალაქის ხარჯზე იწერენ (რ. ვ.).

✦ ამას წინად დონისა, ყუბანისა, თერგისა და ორენბურგის ოლქებში მოხდა **კაზაკთა მობილიზაცია.** შეაგროვეს 16 პოლკი, რომელიც კავკასიასა და ევროპის რუსეთში გაგზავნ-გამოგზავნეს. კაზაკები უფრო იმ ადგილებში გაგზავნეს, საცა გლეხთა მოძრაობამ იჩინა თავი. (რ. ვ.).

თეატრი და ხელოვნება

ხუთშაბათს, 7 აპრილს, არტისტიულ საზოგადოების თეატრში, სომხურ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ პირველად წარმოდგენილ იქმნა ახალი პიესა „კლდე“, დრამა 4 მოქმედებად ბ-ნ ფაფაზიანისა. პიესა ახალ ცხოვრებას შეეხება: სწავლა-დამთავრებული იურისტი ახალგაზდა მანუკიანი ბრუნდება თავის სოფელ ყარაბაღში იმ მიზნით, რომ მოსპოს იქ გამეფებული სისაძაგლე და უსამართლობა, იურიდიული დახმარება აღმოუჩინოს მის მეზობელ გლეხებს, რომელთაც ასე უღმერთოდ ჰყვლეფავს და ავიწროვებს ცნობილი ჩარჩი ვარსკაიანი. უმწიკვლოს პატიოსანი განზრახვა არაფრად ეპიტნავება ვარსკაიანს და მის ამხანაგს—ადგილობრივ მომრიგებელ-მოსამართლეს, და სხვადასხვა სამარცხვინო დაპირებითა და ქრთამებით ცდილობენ გადაიყვანონ თავიანთ მხარეს, მაგრამ ყოველი საცდელი და თხოვნა ამაოდ რჩება. ბოლოს გაიგებენ, რომ მანუკიანს უყვარს ვარსკაიანის ქალი—ტერეზა და მიმართავენ ამ უკანასკნელ საშუალებას. საყვარელის ტერეზას ცრემლებმაც ვერ შესძლეს მოედრიკა უმწიკვლოს პატიოსანი გული და ბოლომდის რჩება მტკიცე და შეურყეველი, როგორც „კლდე“, და თავგანწირვით ებრძვის უსამართლობას. პიესა იდეას არ არის მოკლებული, მაგრამ ბევრი ნაკლიც აქვს, რომლის შევსება და გასწორება საჭიროა. წარმოდგენამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა. კარგები იყვნენ: ქ-ნი მასურიანი (ტერეზა), ვარდუი (ალექსანდრეს დედა), ბ.ბ. მირაღიანი (ალექსანდრეს მამა), ზარაფიანი (ალექსანდრე), პეტროსიანი (მომრიგებელი მოსამართლე), არუთინიანი (ვარსკაიანი—ჩარჩი) და აბელიანი (გლეხი სერობა). დანარჩენნი ანსამბლს ხელს უწყობდნენ. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო.

შემდეგი წარმოდგენა გამართა პარასკევს, 8 აპრილს. მეორეთ წარმოადგინეს სუმბათაშვილის ისტორიული ლეგენდა „დალატი“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და ხალხიც დიდძალი დაესწრო.

ანტრაქტებში უკრავდა ევროპიულ-აზიური ორკესტრი.

ა. გ.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით სომხურ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის ყურადღება მივაქციო იმ უწესოებას, რომელიც სომხურ წარმოდგენებზე ხდება. გუშინწინ თეატრში გახლდით. მეოთხე მოქმედება რომ იწყებოდა—ჩემ ადგილზე ერთი ვიღაც უზრდელი ყმაწვილი დამჯდარიყო. ვსთხოვე ადგილი დაეთმო და იმან კი გინებით ამიკლო, მართალია, ბოლოს იძულებული შეიქმნა სხვაგან გადამჯდარიყო, მაგრამ წესიერება მაინც არ იქმნა დაცული. იქვე ჩემს გასწვრივ, წარმოდგენის დროს ყმაწვილები ხმამაღლა ილანძღებოდნენ და პიესის ყურის გდებას გვიშლიდნენ.

ა. გასპარიან.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

9 აპრილი.

გონკონგი, ინგლისის ესკადრას ჩინეთის ზღვაზე ბრძანება მოუვიდა, სრულიად მზად იყოს. კრეისერ „გოკს“ ებრძანა დამზადდეს, რომ ორი საათის შემდეგ მზად იყოს წასასვლელად.

ტოკიო. ფრანგულ გაზეთების გადაჭრით ლაპარაკი, ვითომც რუსეთის სამხედრო გემების დგომა კამრანის ნავთსაყუდელში არა მტკიცდებაო,—აქ უკმაყოფილებასა და პროტესტს იწვევს. უეჭვო საბუთებიც მოჰყავთ.

ვაშინგტონი. იაპონიის ელჩმა გადასცა ტეფტს იაპონიის მიერ საფრანგეთისადმი გაგზავნილ ნოტის პირი ბალტიის ესკადრისაგან ნეიტრალიტეტის დარღვევის შესახებ.

პარიზი. «ტანი» იუწყება, მთავრობას ჯერ არ მიუღია პასუხი ინდო-ჩინეთის გუბერნატორისაგან, რომელსაც დაევალა, გამოიძიოს, ბალტიის ესკადრა მართლა საფრანგეთის სამფლობელოს ზღვებზე არის თუ არა. საფრანგეთის ელჩმა ტოკიოში აცნობა იაპონიის მთავრობას, რა ღონისძიებაც მიიღო საფრანგეთმა ნეიტრალიტეტის დასაცველად.

ხარბინი. 4 აპრილს ღამე იანლინხეს ტოტზე სამასმა ხუნხუზმა დასწვეს შეშის საწყობი, ტყვის ხეები და ფიცრები. ზარალი 300,000 მანეთისაა. ფიქრობენ, ეს საქმე იაპონელების აგენტებმა ჩაიდინესო. ამ ტოტზე სამი ხიდიც გადასწვეს.

სიდნეი. დღეს აქედან წავიდა გემი „ბონგაფელი“ და 46,134 ტომარა ხორბალი და სხვა სურსათი წაიღო იაპონიისკენ.

გუნჟულინი, 8 აპრილი. ჩვენმა რაზმმა მზვერაობითა და რეკოგნოსციროვკით აღმოაჩინა, რა ადგილებიც უჭირავს იაპონიის ჯარს ჩვენის მარცხენა ფრთის პირდაპირ. ჯარი დაბანაკებულია პაძიაძი-ტოუანგოუ-უფანლოუს. ამოდენა ადგილის დაჭერა ამტკიცებს, რომ იქ მთელი ლაშქარი უნდა იყოს, რომელიც, ეტყობა, გირინისკენ მიიწევს. საერთოდ კი ცვლილება არა არის-რა.

ტოკიო. მოვიდა პირველი პასუხი საფრანგეთისა იაპონიის განცხადებაზე როჟესტვენსკის ესკადრის კამრანში ყოფნის გამო. ,,პრინც გენრიხმა ცნობები მოიტანა, რომ ესკადრის უმეტესი ნაწილი, მათ შორის ხუთი ჯავშნიანი, კამრანის ნავთსადგურშია. სხვა სანდო ცნობებით, რუსის გემებს კამრანში ეძლევათ ნახშირი და თვით გემების შესწორებასაც შესდგომიან. მათი სადარაჯო გემები გარედ დგანან და სავაჭრო გემებს აჩერებენ. რუსის გემები ყველაფრით მომზადდნენ, ასე რომ კამრანი ფაქტიურად რუსების გემების ნავთსადგურად გადაქცეულა.

ტოკიო. დიდი სავადმყოფო გემი «ორიოლი» საიგონში შესულა. იქ მდგომ იარაღ-აყრილ კრეისერ ,,დიანას'' მეზღვაურები ,,ორიოლს'' წამოუყვანია და ავადმყოფები კი ნაპირს გადაუსხავს. პეკინში დეპეშა მისულა ადგილობრივ გუბერნატორისა, ბალტიის ესკადრის ნაწილი ჰაინანის კუნძულთან არის, ტონკინის ნავთსადგურის სამხრეთ-აღმოსავლეთად, და გემები ნახშირით იტვირთებაო. ინგლისის ქვეშევრდომნი ამ დაუწყნარებელ დროს ხელს უწყობენ იაპონიას. შანხაიში იარაღ-აყრილი რუსის გემები არამც თუ თეთრად შეღებეს, არამედ შეიარაღეს კიდეც და წასასვლელად გაამზადეს.

კანეა. ინგლისის კრეისერები ,,დიანა'' და „ვენერა“ სუდის ნავთსაყუდელში მივიდნენ.

პარიზი. მინისტრთა კრებას დელკასე არ დასწრო. კვალად სცდილობენ დელკასე დაითანხმონ, რომ თავის თანამდებობაზე დარჩეს. ბიუჯეტი დაამტკიცა პალატამაც და სენატმაც. საღამოს პალატას კვალად ექმნება მსჯელობა სახელმწიფოსგან ეკლესიის განშორების შესახებ.

ბელოსტოკი, 8 აპრილი. უცნობმა რევოლვერით კაზაკი მოჰკლა ქუჩაში. სხვა ქუჩაში სამმა უცნობმა უბნის ზედამხედველი მძიმედ დასჭრა. ტყვია მოშხამული ყოფილა. დამნაშავენი გაიქცნენ.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 1 აპრილი 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიჟისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,72½
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,72½
ბირჟის დისკონტი	5½—6¾%
4% სახელმწიფო რენტა	84⅜ მყიდ.
4%-ანი სახ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხ. 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საად.-მამ. ბანკ.	—
5% პირ. შინ. მომ. ბილ. 1864 წ.	379 წვ. გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	298½ „
5% გირ. ფურც. სახ. საადგ.-მამ. ბანკ.	268½ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. სახ.	—
5% გირავ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკისა	—
4½% გირავნ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. საად.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 6) ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ); 3 სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 08 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გელეიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ახლად გახსნილი
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
„შრომა“
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს, რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში.

თხზულება ნ. ნიკოლაძისა
იაპონია
ფასი 20 კ. აქვე იყიდება დიდი სურათი
შოთა რუსთაველისა ფ. 50 კ.
ტფილისი. წიგნის მაღაზია „ცოდნა“.
(10—31—5)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 9 апрѣля 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.